

კონფერენციის მასალები

*წმიდა მოწამეთა დავით და კონსტანტინეს სახელობის (თერჯოლა)
კავშირის თავჯდომარის შესავალი სიტყვა:*

მოგესალმებით წმიდა მოწამეთა დავით და კონსტანტინეს კავშირის სახელით, უპირველეს ყოვლისა, აქ მოწვეულ მოძღვრებს, მართლმადიდებლური კავშირების წარმომადგენლებს, კონფერენციის ყველა მონაწილეს.

მოგილოცავთ დღევანდელი დღეს, რამეთუ იმ განსაცელების ჟამს, რომელთა წინაშეც დგას ჩვენი ქვეყანა, ერის და ბერის ერთი ნაწილი შეიკრიბა, რათა იმსჯელოს ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე, როგორც განათლების სფეროა.

სანამ შევეხებოდე კონფერენციის ძირითად თემას, მინდა ყურადღება გავამახვილო იმ მიზანდასახულ პოლიტიკასა და იდეოლოგიაზე, რომელიც მიმართულია ეკლესიისა და მისი „სისავსის“ – მრევლის წინააღმდეგ. მავანი ცდილობს საზოგადოების მრევლის პოზიცია, მისი ქმედითუნარიანობა წარმოაჩინოს პოლიტიკურ მოთხოვნად და ამით აბრკოლებს მრევლს გამობატოს თავისი პოზიცია, დაიცვას სამშობლო და სარწმუნოება გადაგვარებისა და განადურებისაგან.

სახეზე გვაქვს მცდელობა, ეკლესია გადააქციონ „გარეგნულ დაწესებულებად“. ამის ნათელი დადასტურება იყო საზოგადოებრივ არხზე, გადაცემაში „ევროპული არჩევანი“ წარმოდგენილი სტუმრების – „ილიას უნივერსიტეტი“, ბაბტისტური ეკლესიის ქალი ეპისკოპოსი, ეგრეთწოდებული საერთაშორისო ჟურნალისტის მიერ გაცხადებული აზრი, რომ ეკლესია გაცდა თავის ფუნქციებს და იქცა ქართული ნაციონალიზმის თავშესაფრად. მათი გაღიზიანების ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ისინი ვერ ეგუებიან ქართული ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობლის პოზიციას ეროვნულობისა და მართლმადიდებლობის დაცვასთან დაკავშირებით.

აი, რას ბრძანებს პატრიარქი პატრიოტიზმზე, „საერთოდ ყველა ერს თავისი იდეა აქვს, რა არის ჩვენი იდეა და რაში გამოიხატება იგი? ეს შეიძლება გამოვთქვათ ერთი ყოვლისმომცველი სიტყვით – ჭეშმარიტების მსახურება, რაც პირველ რიგში გამოიხატება უფლისადმი ჩხვენს უდიდეს სიყვარულში, მისდამი ერთგულებასა და თავგანწირვაში. დიახ, უზენაესი ჭეშმარიტებისადმი თავდადება არის ქართული იდეა. ამიტომაც გვიანდერძა წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალმა: „ემიებდით ქრისტესთვის სიკვდილსა.“ ქართველისათვის პატრიოტიზმიც ღვთისმსახურებაა, ჩვენი სულისკვეთება კარგად ჩანს ამ სიტყვებში: „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება“. დიახ, ქართული იდეისათვის უცხოა ექსპანსია და აგრესია.

ამიტომ, ფუჭია მცდელობა, გარკვეულმა ძალებმა ქართველი კაცის სიყვარული სამშობლოსადმი წარმოადგინონ, როგორც ექსტრემიზმი და აგრესიული ნაციონალიზმი.

მეგობრებო, განათლების სისტემა არ არის განყენებული თემა, ის სწორედ საერთო კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რადგან ამ სისტემაში მიმდინარე მოვლენები გარკვეულ მიზანდასახულ პოლიტიკას წარმოადგენს.

კონსტიტუციურ შეთანხმებაში ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, ე.წ. კონკორდატში, მე-5 თავის 1 მუხლში წერია: „საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებლური სარწმუნოების შესახებ საგნის სწავლება ნებაყოფლობითია. სასწავლო პროგრამის დადგენა–შეცვლა, პედაგოგთა დანიშვნა და განთავისუფლება ხდება ეკლესიის წარდგინებით“. დღევანდელი მდგომარეობით რელიგიის სწავლება საერთოდ ამოღებულია სკოლებიდან, უფრო მეტიც, მართლმადიდებლობაზე საუბარი და სალოცავი კუთხის მოწყობაც, ფაქტიურად, შეუძლებელია.

ზემოთაღნიშნულ გადაცემაში, როდესაც შეახსენეს ჩვენი ეკლესიის მოწინააღმდეგეებს: „რა გინდათ ბატონო, ხომ ამოვიღეთ რელიგიის სწავლება სკოლებიდან?“ მათი პასუხი ასეთი იყო:

„კი, მაგრამ, ახლა გეოგაფიისა და მათემატიკის პედაგოგები გახდნენ მართლმადიდებლობის მქადაგებლები, რაც უნდა აიკრძალოს“.

აი, ასე გვიკრძალავენ ჩვენს ქვეყანაში მომავალ თაობასთან მართლმადიდებლობაზე საუბარს, რომელიც ჩვენი ერის გადარჩენის ქვაკუთხეა.

უმნიშვნელოვანესი საკითხია საგანმანათლებლო სისტემაში უცხო ენის სავალდებულო სწავლება პირველი კლასიდან. პირველი კლასიდან ბავშვისთვის უცხო ენის სწავლება, როდესაც ცნობიერებაში მშობლიური ენა ჯერ კიდევ მყარად არ არის ფორმირებული, ადვილად მოარყევს მშობლიური ენის საფუძვლებს. ამას ადასტურებენ როგორც ადგილობრივი, ასევე სხვა ქვეყნების აღიარებული პედაგოგიკის მეცნიერებთა წარმომადგენლები.

მინდა განვაცხადო ჩვენი პოზიცია, ის რომ ქართველი მოსწავლეებისათვის ინგლისური ენის სწავლება სავალდებულო გახდა პირველი კლასიდან, მიზანმიმართული პოლიტიკაა, რითაც ცდილობენ ქართული სახემწიფოსთვის იმ ერთ-ერთი ძირითადი საყრდენის გამოცლას, როგორც ენაა.

ასევე მტკინვეული თემაა, ჩვენი რაიონის საჯარო სკოლებში ე.წ კლას-კომპლექტების შექმნა. ამის თაობაზე აგვისტოს თვეში მივმართეთ საკრებულოს შესაბამის კომისიას და რაიონის რესურსცენტრის ხელმძღვანელს. კითხვა მდგომარეობდა შემდეგში: „რით იყო განპირობებული აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება და ეს პროცესი ხომ არ გამოიწვევდა პედაგოგების შემცირებას, სწავლების ხარისხის გაუარესებას და, საბოლოო ჯამში, რამდენიმე საჯარო სკოლის დახურვას?“ რაზედაც პასუხი არ მიგვიღია.

ძვირფასო მეგობრებო, უპიველეს ყოვლისა მინდა მოგმართოთ წმინდა დავით და კონსტანტინეს სახელობის კავშირის წევრებს, მე კარგად მესმის და ვაცნობიერებ თუ როგორი საფრთხისა და განსაცდელის წინაშე დგას ყოველი თქვენთაგანი, მაგრამ როცა ჩვენს ქვეყანაში ლებულობენ კანონს ე.წ. რელიგიური უმცირესობების შესახებ, რომლითაც ღია ბრძოლა გამოუცხადეს მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, როდესაც ჩვენ გვყავს მართლმადიდებლობისთვის დევნილი რწმენის პატიმრები და საფრთხეშია ქართული ენა, ახლა გულგრილობა და გვერზე გადგომა ყოვლად დაუშვებელია. მართლმადიდებლობისთვის არ არსებობს ბრძოლაში დაღლა „აურაცხელი არიან ჭირი მართალთანი და ყოველთა მათგანი იხსნას იგი უფალმან“ დღეს ჩვენ განგებამ უდიდესი განსაცდელის წინაშე დაგვაყენა, ეს უწინარეს ყოვლისა ჩვენი სარწმუნოების გამოცდაა, ადამიანის დაცემული ბუნება უწყოდა უფალმა, როდესაც ბრძანა „მე მოვედი სახელითა მამისა ჩემისათა და არა შემიწყნარეთ, უკეთუ სხვაი მოვიდეს სახელითა თვისითა და იგი შეიწყნარეთ! (იოანე 5.43) „ეს სხვაი ანტიქრისტეა“ იგი მოვა მომავალში, მაგრამ მისი წინამორბედნი უკვე მოდიან და ვაი მათ, ვინც მათ შეიწყნარებს.

მეგობრებო, „სარწმუნოება თვინიერ საქმეთა მკვდარ არს,“ ვიყოთ ქრისტიანები და ჭეშმარიტი ქართველები ჩვენი საქმეებით.

წმ. მოწამეთა დავით და კონსტანტინეს სახელობის კავშირის თავჯდომარე
დავით ისაკაძე

ავთანდილ უნგიაძე:
შეიძლება თუ არა I კლასიდან ვასწავლოთ უცხო ენა?

„თუ დედაებით არ ხარ გაზრდილი, გულში გაკლია ცეცხლი ქართული“

მოკლე პასუხი ასეთია: უცხო ენის შესწავლა I კლასიდან არ არის მიზანშეწონილი, ხოლო მშობლიურ ენასთან ერთად მისი ანბანური სწავლების დაწყება ყოველად დაუშვებელია. ქვემოთ დავასაბუთებთ ამ მოსაზრებას.

ეს თემა მეტად აქტუალურია დღეს საქართველოში, ვინაიდან განათლების რეფორმის ერთ-ერთი მიმართულება პირველი კლასიდან ინგლისური ენის სწავლებას ადგენს. აქ უნდა საგანგებოდ ხაზი გაესვას იმას, რომ პირველი კლასიდან ბავშვი იწყებს ორი ენის, ქართულისა და ინგლისურის ანბანის, გრამატიკისა და მართლწერის შესწავლას. და ეს ხდება იმის ფონზე, როდესაც მშობლიური ენა ჯერ არ არის მოზარდის ცნობიერებაში და ქვეცნობიერში საკმარისად მყარად ფორმირებული.

პედაგოგიკის მეცნიერებათა წარმომადგენლები თვლიან, რომ უცხო ენა მას შემდეგ უნდა ვასწავლოთ მოზარდს, როდესაც იგი საკმარისად გაიმაგრებს მშობლიური ენის ცოდნას, გაიმაგრებს იმდენად, რომ მშობლიური ენის კონსტრუქციების რღვევა უცხო ენის ზეგავლენით არ იყოს მოსალოდნელი. ამის გარეშე მოზარდი ვერც მშობლიურ ენას ისწავლის სრულყოფილად, და ვერც უცხო ენას.

დიდი ქართველი პედაგოგი, იაკობ გოგებაშვილი, ასევე დავით უზნაძე, სხვა ძველი თუ თანამედროვე ქართველი მეცნიერები თვლიდნენ, რომ მოზარდს უცხო ენა პირველი კლასიდან არ უნდა ვასწავლოთ. მსოფლიო გამოცდილებაზე დაყრდნობით ოპტიმალური ასაკი უცხო ენების შესასწავლად იწყება 10 წლიდან. სწორედ ასე დამტკიცდა რამდენიმე წლის წინ საგანმანათლებლო სტანდარტით, რომ უცხო ენის სწავლება სახელმწიფო სკოლებში მესამე კლასიდან დაწყებულიყო. ბევრმა არ იცის, რომ ეს საერთაშორისო სტანდარტია, ფართოდ აპრობირებული სისტემა. დღემდე ამ სტანდარტით ისწავლებოდა უცხო ენები ჩვენს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებშიც. პირველ უცხო ენას მესამე კლასიდან ასწავლიდნენ, მეორე უცხო ენას კი - მეშვიდედან. კიდევ ვიმეორებთ - ეს საერთაშორისო, ევროსაბჭოს სტანდარტია. ასე იყო დღემდე. მაგრამ, ერთი ხელის მოსმით, ეს სტანდარტი შეცვალეს და იბულებითი წესით ბავშვებს ინგლისური ენის შესწავლა I კლასიდანვე განუხაზღვრეს. არჩევითი, ნებაყოფლობითი მაინც ყოფილიყო? მაგრამ არა – ანტიპედაგოგიურთან ერთად, დირექტიული ტონით განაჩინეს.

ცნობილი გერმანელი ფსიქოლოგის, ფილიპ ნიუმენის თვალსაზრისით, უცხო ენა მხოლოდ 8-9 წლის ბავშვებს უნდა ვასწავლოთ. ამ პრინციპის ერთგული არიან დასავლეთის ყველა წამყვან სახელმწიფოში. აშშ-ის ზოგიერთ შტატში უცხო ენის სწავლება იწყება 8 წლიდან, ზოგიერთში - 9 წლიდან. ზოგიერთი შტატის სკოლებში უცხო ენა საერთოდ არ ისწავლება, მისი შესწავლა მხოლოდ კოლეჯში იწყება. ინგლისშიც კანონით არის აკრძალული 8 წლამდე უცხო ენის სწავლება, იქ მოქმედებს „*ინგლისურად მოლაპარაკეთა კავშირი*“. მაგანი იტყვის: 3-4 წელს რა მნიშვნელობა აქვსო. ვუპასუხებთ: ძალიან დიდი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, ამ ასაკში 1 წელი მეტად დიდია, უფრო მეტი, ვიდრე 5 წელი მოზარდობაში, - ამ 1 წელიწადში ბავშვი შეისწავლის მშობლიური ენის ანბანს, ხოლო კიდევ 2-3 წელიწადში ისე გაიმყარებს მის ცოდნას, რომ უცხო ენა ვეღარ მოარყევს მოზარდის ცნობიერებაში მშობლიური ენის საფუძვლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ განხდება სრულყოფილად მეტყველი ვერც ერთ ენაზე.

ინიციატივა იმის თაობაზე, რომ ინგლისური ენის სწავლება პირველი კლასიდან უნდა დაიწყოს, სახიფათოა. როგორც ჩანს, აქ გამოსჭვივის გადაწყვეტილება, რომელიც

რამდენიმე წლის წინ წარმოთქვა ისეთმა ოდიოზურმა პიროვნებამ, როგორც გიგი თევზაძეა: „**ინგლისური სახელმწიფო ენად უნდა გამოცხადდეს**“. ამიტომ ხომ არ ალაპარაკდა განათლების მინისტრი, ბატონი შაშკინი „**ლინგვისტურ რევოლუციაზე?**“. უკვე საუბრობენ იმაზე, რომ ხელისუფლებას მეორე სახელმწიფო ენად ინგლისურის გამოცხადება სურს. ამიტომაც არის მზადება იმისკენ, რომ ქართული საზოგადოება ბილინგვური გახდეს (ბილინგვიზმის რაობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი). ამიტომაც ისმის ხელისუფალთაგან საუბარი საქართველოს სინგაპურიზაციაზე. ჩვენ ამის კატეგორიული წინააღმდეგნი უნდა ვიყოთ. ჩვენ არა სინგაპური, არამედ ზნეობრივი, მართლმადიდებლური, განათლებული, თვითმყოფადი, ტადიციების პატივისმცემელი ქვეყანა და მშობლიურ ენაზე სრულყოფილად მეტყველი ქართული საზოგადოება გვინდა.

ექსპერტები თვლიან, რომ ეს მიდგომა, – I კლასიდან ინგლისურის სწავლება, – ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ არის მიმართული, რადგან, როგორც იაკობ გოგებაშვილი ამბობდა: „**ეროვნულ ეტლში უნდა შევაბათ ჯერ დედაენა და კევრად მივუბათ მას უცხო ენანი**“. ქართველი კაცი ისტორიულად შემეცნებისკენ, ცოდნისა და სწავლისკენ იყო მიდრეკილი. აკი უთქვამს კიდეც: რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო. მაგრამ, თუკი მშობლიურ ენას ვერ დაეუფლები, ანუ თუ შინ კაცად არ ივარგე, როგორღა იქნები კაცი გარეთ? უნო-უეროვნებო მოქალაქეს სიკეთე ვერც თავისი სამშობლოსთვის მოაქვს და ვერც სხვა ქვეყნისთვის.

ექსპერტები, მათ შორის ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ დაუშვებელია ორი ენის საანბანე სწავლება პირველივე კლასიდან, რადგან ამას ვერ იტანს ბავშვის გონება და, რაც მთავარია, მეორე, უცხო ენის იმავდროულად შესწავლა ხელს უშლის მშობლიური ენის აღქმას. ამის შესახებ საუბარი გვექნება ქვემოთ, როდესაც განვიხილავთ მსოფლიო მეცნიერების, ჰუმბოლდტის, სეპირის, უორფის, ვაისგერბერისა და სხვათა კვლევებს.

თავის დროზე იაკობ გოგებაშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა თავამოდებით იბრძოლეს იმისათვის, რომ უცხო ენა დედა ენის კარგად შეწავლის შემდეგ, რამდენიმე წლის შემდეგ დაეწყოთ. ენა სახელმწიფოებრივ აზროვნებას აყალიბებს. როცა "დედა ენას" ქმნიდა, იაკობ გოგებაშვილი ბავშვთა ფსიქოლოგთან, თეოლოგთან და მხატვართან ერთად მუშაობდა, ითვალისწინებდა მოზარდის ფსიქოლოგიის, შესაძლებლობების ყველა დეტალს.

ხოლო რა ხდება დღეს საქართველოში? ინგლისური ენის შესწავლა ქართული ენის იგნორირების ხარჯზე ხდება. დაუკვირდით, ქართული ენა არავის სჭირდება, მთავარია, ინგლისურის ცოდნა და, ამიტომაც, პირველი კლასიდან ასწავლიან. ხელისუფლებამ მშობლიური ენა ყველა სახელმწიფო დაწესებულებიდან, სკოლებიდან და უმაღლესი სასწავლებლებიდან შეგნებულად გამოდევნა. გაუქმდა ქართული ენის სახელმწიფო კომისია, არსებობა შეწყვიტა ენის სახელმწიფო პალატამ; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში სახელდახელოდ შეიქმნა ქართული ენის სამმართველო, რომელიც მცირე ხანში „**ქართული ენის პროგრამად**“ იქცა, ანუ ფაქტობრივად არ არსებობს სახელმწიფო ორგანო, რომელიც სახელმწიფო ენის დაცვაზე, მის მომავალზე იზრუნებს, ხოლო ენათმეცნიერების ინსტიტუტი ამ პრობლემას მარტოდმარტო ვერ გაწვდება. აბა, შევხედოთ, როგორ ზრუნავენ სხვა ქვეყნებში სახელმწიფო ენაზე. ზემოთ ხსენებული „**ინგლისურად მოლაპარაკეთა კავშირი**“ მკაცრად აკონტროლებს ენის ნორმების დაცვას ინგლისში. ეს ის ორგანიზაციაა, რომელმაც ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ტონი ბლერიც არ დაინდო გრამატიკული შეცდომის გამო და მისი პედაგოგიც კი შეარცხვინა. როცა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ფილიპ გორდონმა წერილი მისწერა ავღანეთში დაღუპული ერთ-ერთი ჯარისკაცის დედას, რომელშიც არაერთი გრამატიკული შეცდომა იყო, პრესამ წერილი დაუყოვნებლივ გამოაქვეყნა და გორდონს ბოდიში მოახდევინეს. ასე ზრუნავენ ენის სიწმინდეზე ქვეყნებში, რომელთა ენაც მსოფლიო ენად არის აღიარებული, ხოლო ჩვენთან, სადაც უმწვავესი დემოგრაფიული პრობლემებია, მსოფლიო ენათა შორის ერთ-ერთი ძველი, – ქართული ენა ორი წლის წინ

მომაკვდავ ენათა შორის შერაცხეს, ხელისუფლება კი არაფერს აკეთებს მის დასაცავად. პირიქით, საფრთხეს უქმნის მას ანტიმეცნიერული რეფორმებით.

საქართველოში სახელმწიფო ენა, ფაქტობრივად, აღარ არის სავალდებულო საგანი უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე, ეროვნული უმცირესობები გამოცდას არასახელმწიფო ენაზე აბარებენ - რა არის ეს, თუ არა მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკა? რაც შეეხება დასავლეთის გამოცდილებას, ბალტიის ქვეყნებმა რამდენიმე წლის წინ მიიღეს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, მის დასაცავად, და ამას მათთვის ევროკავშირსა და ნატოში შესვლაში, თუ, მაინცა და მაინც, ეს არგუმენტი მოყავთ ჩვენს „რეფორმატორებს“, ხელი არ შეუშლია; საფრანგეთში მოქმედებს კანონი „სახელმწიფო ენის შესახებ“, რომლითაც მკაცრად არის შეზღუდული ტელევიზორცა თუ რადიომაუწყებლობაში არაფრანგულენოვანი გადაცემების დრო და საფრანგეთს არავინ აბრალებს ანტიდემოკრატიასა და დისკრიმინაციას.

ქართველი ერის ტრაგედიაა ის, რომ, თუ სტუდენტი ინგლისურს არ ისწავლის, დიპლომს ვერ მიიღებს. ინგლისური სახელმწიფო ენის რანგშია აყვანილი. იგივე გააკეთეს სელჩუკებმა თავის დროზე, როდესაც ქართული ენის მოსპობა განიზრახეს. ასე იქცეოდა კოლონიზატორი მეფის რუსეთი, როდესაც რუსიფიკაციის პოლიტიკას ახორციელებდა საქართველოში. ამის წინააღმდეგ იბრძოდნენ ჩვენი დიდი მამულიშვილები, ამის გამო არ მოგვწონდა რუსეთის ქვეშევრდომობა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი, საზოგადოდ, მართლმადიდებლობას არ ებრძოდა საქართველოში; არ გვინდოდა გარუსება და სწორედ მაშინ და ამიტომ ათქმევინა დიდმა ილიამ ლელთ ღუნისა სიტყვა, რომელიც საპროგრამოდ იქცა და რომელმაც განსაზღვრა ქვეყნის მომავალი სამოქმედო გეგმა: *„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო“*.

ახლა დასავლეთი, აშშ-ს მეთაურობით, გვისაზღვრავს, თუ რა ვასწავლოთ საქართველოში, იმასაც წაახალისებს, რომ ინგლისური იყოს ძირითადი ფუნქციონალური ენა საქართველოში; მართლმადიდებლებსაც ებრძვის, - გავიხსენოთ რომ აშშ-ს ელჩის, ჯონ ბასის პირადი პატიმრები არიან სარწმუნოების დაცვისთვის დაპატიმრებული 8 ახალგაზრდა კაცი, რომლებიც სწორედ ბასის მითითებით არიან მკაცრად გასამართლებულნი (თუმცა, როგორც ჩანს, ამ საქმეს ხელი არც ვატიკანმა და სხვა ანტიმართლმადიდებლურმა და სექსატენტების დამცველმა ორგანიზაციებმა და პირებმა, - თავისუფლების ინსტიტუტმა, სახალხო დამცველმა და სხვებმა დააკლეს); უზნეობასაც მრავლად გვაყრის თავს, - აშშ-ს კონსული მამაკაცი თავის ქმართან ერთად ჩამოვიდა საქართველოში სამოღვაწეოდ - მარტო ეს რად ღირს!; სატანისტური რიტუალების ხელშემწყობადაც გვევლინება, - ე.წ. სატანისტური რიტუალის, ჰელოუინის სკოლებში ჩატარებისა და ქალაქში ღონისძიების გამართვის ხელშემწყობი სწორედ აშშ-ს საელჩო იყო 2009 წ. რა გამოდის, რუსეთი ცუდი იყო და აშშ კარგია? რუსიფიკაცია მიუღებელი იყო, ხოლო ანგლო-საქსიზაცია, თავის სექსიზაციასთან ერთად, კარგია? ნურას უკაცრავად, ორივე მიუღებელია, მეტიც, - მეორე უარესია, რადგან უზნეობასა და ღმრთისგმობასაც ნერგავს. ამიტომ ვამბობთ, რომ დღევანდელი ხელისუფლება და მისი სატელიტი ორგანიზაციები და მასმედია ანტიქართული და ანტიმართლმადიდებლური პროგრამის დაკვეთას ახორციელებენ საქართველოში. ამ პროგრამის ერთ-ერთი ნაწილია ინგლისურის სწავლება პირველი კლასიდან.

პირდაპირ ვამბობთ: ის, რომ სექტემბრიდან ქართველი მოსწავლეებისთვის ინგლისურის სწავლა სავალდებულო გახდა, მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკაა. ასეთი რამ მხოლოდ იმ ქვეყნებში ხდება, სადაც ესა თუ ის უცხო ენა მეორე ან მესამე სახელმწიფო ენად არის გამოცხადებული ან ფაქტობრივად ქვეული. ანუ ეს ნიშნავს, რომ ეს ხელისუფლება ინგლისურის მეორე სახელმწიფო ენად გამოცხადებას აპირებს. ამიტომაც საუბრობს მიხეილ სააკაშვილი ასე ხშირად საქართველოს სინგაპურიზაციაზე, რაც ჩვენთვის მიუღებელია.

ჯორჯ ორუელმა თავის ბრწყინვალე რომანში „1984 წელი“ აღწერა საზოგადოება, სადაც სახელმწიფო, სხვა ხერხებთან ერთად, ენობრივი ჟარგონის - *„ახალენის“* შექმნითა და გავრცელებით მანიპულირებს, რაც ასოციაციას იწვევს ჩვენს დღევანდელიობასა და ბარბარიზმებითა და კალკებით გადატვირთულ მეტყველებასთან, როცა ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დარღვევა არაფრად მიიჩნევა, ქვეყნის პირველი პირები კი

პირდაპირ აცხადებენ, რომ სახელმწიფო სამსახურში მიღებისას უპირატესობა არა სახელმწიფო ენის ფლობას, არამედ ინგლისური ენისა და კომპიუტერის ცოდნას ენიჭება.

ცნობილია, რომ ადამიანი რომელ ენაზეც აზროვნებს, იმ ერის წარმომადგენლად მიიჩნევენ თავს, ამიტომ ენა ეროვნული იდენტობის ქვაკუთხედი. დღევანდელ მსოფლიოში 4000-ზე მეტი ენაა, ანბანი კი მხოლოდ - 14, მათ შორის, ქართული. ქართული ენა ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესია მსოფლიოში, ცნობილი ენათმეცნიერი, ნიკო მარი ამბობდა: დედამიწის ზურგზე არ არსებობს აზრი თუ მოვლენა, რომლის გადმოცემა ქართული ენით არ შეიძლება, ამ მხრივ ის არაერთ ევროპულ ენას აღემატებაო. დღეს კი ეს ენა მომაკვდავია და ხელისუფლება მის საბოლოოდ დასამარებას ცდილობს. ამიტომაც ალაპარაკდნენ, დამატებით, კანონზე რეგიონალური ენის სტატუსთან დაკავშირებით, რაც ცალკე განხილვის თემაა და მის შესახებ იხ. ჩვენი საიტი www.religia.ge.

გლობალიზაციის პირობებში ისედაც ძალზე მძლავრია უცხოენოვანი ლექსიკის მოძალევა და რაც მთავარია, უცხო ენები, განსაკუთრებით ინგლისური, რომელიც ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანდათან სახელმწიფო ენის ადგილს იკავებს. თუ პრეზიდენტის ინიციატივა განხორციელდება, ამით, უპირველესად, ცხადია, ქართული ენა დაზარალდება, ასევე დაზარალდებიან ის თაობები, რომლებიც ფართო განათლებისკენ გზას მშობლიურ ენაზე ვეღარ გაიკვალავენ.

თუ ბატონი პრეზიდენტის მიზანი ახალგაზრდების მიერ ინგლისური ენის უკეთ შესწავლაა, ამისთვის სხვა გზები არსებობს და ეს არ უნდა მოხდეს სახელმწიფო ენის დაკნინება-დაზარალების ხარჯზე. მრავალი ადამიანი შესანიშნავად საუბრობს ინგლისურად, თუმცა მათ პირველი კლასიდან არ უსწავლიათ იგი. ამიტომ ვეჭვობთ, რომ ჩვენთან სახელდობრ ინგლისურის კარგად სწავლა კი არ არის მთავარი მიზანი, არამედ - მის სახელმწიფო ენად ქცევა და ბილინგვური საზოგადოების ფორმირება.

საფრთხეების თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ქართულ ენას არა აქვს ისეთი ფართო გავრცელების არეალი - როგორც ინგლისურს, ესპანურსა თუ ფრანგულს. ამ ენაზე საუბრობს საქართველოში მცხოვრები 4 მილიონი ადამიანი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩვენი დიასპორების არც თუ მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები. ასე რომ, ქართული ენის ბედი, მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი მხოლოდ ჩვენს ხელთაა.

ზემოთქმულთან დაკავშირებით არ შეიძლება არ შევეხოთ დღევანდელ კანონს, საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმას, სადაც განსაზღვრულია ქართული ენის სტატუსი, მაგრამ არასრულფასოვნადაა წარმოდგენილი ენის კონსტიტუციური გარანტიები, კონკრეტულად, სწავლების ენა, რაც შემდეგში მდგომარეობს: სახელმწიფო დაფინანსება უნარჩუნდებათ იმ სკოლებს, რომელთათვისაც სწავლების ენა არ არის სახელმწიფო ენა, უფრო მეტიც, თითოეული მოსწავლის სწავლების ხარჯები დაფინანსებული იქნება, თუ მოსწავლის მშობლიური ენა არ არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ენა!

ანუ, ეს ნიშნავს: უცხოელს უნდა ასწავლო მისი მშობლიური ენა სახელმწიფო დაფინანსებით! სად ხდება ეს, რომელ ქვეყანაში?! პრეცედენტი არ არსებობს! ის, რომ ქართული ენა სახელმწიფო ენაა, ეს კონსტიტუციური მუხლი ძალადაკარგულად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან, პრაქტიკულად, ქართული ენა ასეთ გარემოში იქცევა მეორეხარისხოვან ენად, რადგან პრივილეგირებული ენა ჩვენს ქვეყანაში უკვე არის ინგლისური ენა, რომლის ცოდნის გარეშე ქართველი სამუშაოზე ვერსად მოეწყობა, უფრო მეტიც: უმოკლეს ხანში სამსახურიდან დაითხოვენ ყველა მასწავლებელს, ვინც ინგლისურენოვან ტექსტს ვერ ჩააბარებს, ანუ ეს იგივეა: ვინც ვერ მიიღებს სერთიფიკატს, ვერ მოიპოვებს უფლებას, იმუშაოს მასწავლებლად! თუ რა მსოფლიო პროცესებს უკავშირდება ეს, ამის შესახებ ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ. მოკლედ კი ვიტყვით, რომ ასე განგვისაზღვრეს გლობალისტური მსოფლიოს დამპროექტებლებმა. როგორია გლობალისტების განზრახვა? ეს არის ეროვნული

ცნობიერების, მეცნიერების, განათლების, ეროვნული კულტურის დანგრევა, ეროვნული სარწმუნოების ჩრდილში მოქცევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, წინასწარ შემზადებულ ნიადაგზე, იწყება ინგლისური ენის სწავლება პირველი კლასიდან, რაც ყოვლად მიუღებელია, ამ მიუღებლობას ადასტურებენ პედაგოგიური თუ ფსიქოლოგიური აზროვნების უდიდესი წარმომადგენლები: იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი უზნაძე და სხვები და სხვები. თუნდაც გავიხსენოთ ახლო წარსულიდან ქართველი პროფესორი, ბატონი გურამ რამიშვილი. იგი წერდა: **„სწორედ დედაენის საფუძვლიანი ცოდნა უნდა იქნეს სხვა ენების სწავლების, კულტურის აღქმისა და გაგების ბაზისად!“**. რა თქმა უნდა, აქსიომაა, რომ განათლების სისტემა უნდა აიგოს უპირველესად დედაენაზე და უნდა ეფუძნებოდეს ქართულ ქრისტიანულ ღირებულებებს. **„თუ დედაენით არ ხარ გაზრდილი, გულში გაკლია ცეცხლი ქართული“**, – არცთუ შორეულ საუკუნეში ბრძანა დიდმა მუხრანმა და ეს ჭეშმარიტება! დამანგრეველებმაც იციან ეს და ამიტომ სურთ, დაკნინდეს ენა ქართული, მისი მატარებელი ერის გონი და სული, ანუ ჩაქრეს ცეცხლი ქართული..

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტამარსა წმინდას!“ – დროთა სიავემ ათქმევინა ეს სიტყვები დიდ ქართველს! ავი დროება კვლავაც წინ გვივის. ისიც რეალობაა, რომ უკვე კარგახანია დაგვიდგა ჟამი ქმედებისა, რომ ჩვენ შორიდან არ უნდა ვუყუროთ ერის დაცემას! სხვა რა ჰქვია თუნდაც იმ ფაქტს, რომ ჩვენი სასკოლო სახელმძღვანელოებიდან ერთიმეორის მიყოლებით ქრება ძველი ქართული მწერლობის უბრწყინვალესი ძეგლები, ჩვენ კი ვერაფერს ვაკეთებთ ამის საწინააღმდეგოდ. ასე ვერ გადავარჩინებთ ქართულ ენას! როგორ შეიძლება ამ საკითხებზე ზრუნვა გადავდოთ და უკეთეს მომავალს ველოდოთ?! სანამ დროა, სანამ ჩვენი ისტორია ჯერ კიდევ გრძელდება, ჩვენი მატთანე ჯერ კიდევ იწერება, ვიმოქმედოთ! გავუფრთხილდეთ წარსულს, თუ გვინდა რომ გვქონდეს მომავალი! – ამბობდნენ დიდი ქართველები და ჩვენც დავადგეთ ისტორიულად ნაცად ამ გზას!

ენის რაობა და მნიშვნელობა

ინერესმოკლებული არ იქნება, ჩვენი განსახილველი თემის პარალელურად, ენის რაობის, მისი პიროვნებასთან და ერთან მიმართების საკითხებსაც შევეხოთ, თუ როგორ განმარტავს ამ ასპექტებს მეცნიერება და განმარტავენ გამოჩენილი მეცნიერები.

არსებობს სეპირ-უორფის (ე.წ. ლინგვისტური ფარდობითობის) ჰიპოთეზა იმასთან დაკავშირებით, რომ ენობრივ საზოგადოებაში ამ საზოგადოების აზროვნებისა და ქცევის ტიპი დამოკიდებულია ენის ტიპზე. ეს ჰოპოთეზა ეხმიანება გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსის, ჰუმბოლდტის ჰიპოთეზას, რომელიც თვლიდა ენას „შუალედურ სამყაროდ“ (Zwischenwelt), რომელიც განთავსებულია ადამიანებსა და მათ გარემომცველ სამყაროს შორის. ჰუმბოლდტის მიხედვით, ადამიანი მის მიერ მსოფლიოს აღქმაში, მსოფლშემეცნებაში მთლიანად თავისი ენის დაქვემდებარებაში იმყოფება. მოვიყვანოთ ჰუმბოლდტის ცნობილ ფრაზას: **„ერის ენა მისი სულია, ერის სული მისი ენაა, და ძნელია რაიმე უფრო ივიკობრივი წარმოიდგინო“**.

ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართებას შეეხება ბენჯამენ ლი უორფის კვლევები. მან გასული საუკუნის 30-ან წლებში ჩამოაყალიბა ჰიპოთეზა: **„ენა განსაზღვრავს აზროვნებას“**. ამ ჰიპოთეზას სხვაგვარადაც წარმოთქვამენ (ე.წ. შერბილებული ვარიანტი) **„ენა ზემოქმედებს აზროვნებაზე“**.

ჰუმბოლდტის იდეები განავითარა ამერიკელმა მეცნიერმა ედუარდ სეპირმა. მისი თვალსაზრისით, ყოველი ენა ახდენს სამყაროს სტრუქტურირებას (სტრუქტურულად აგებს) საკუთარი, ამ ენისთვის დამახასიათებელი სახე-ხატებით. სეპირმა შემოიტანა

ტერმინი - ენათა „*არათანაზომადობა*“ (incommensurability). იგი ენას განიხილავდა როგორც მკაცრად ორგანიზებულ სისტემას, რომელშიც ყველა შემადგენელი ელემენტი (ბგერები, გრამატიკა, სიტყვები) ურთიერთდაკავშირებულია, სადაც ორგანიზებული სისტემის ყველა ელემენტი ენის შიდა კანონებით მკაცრ იერარქიულ ურთიერთდამოკიდებულებას ექვემდებარება. აქედან გამომდინარე, ერთი ენის სისტემის პროეცირება მეორე ენის სისტემაზე ისე, რომ არ მოხსდეს კომპონენტებს შორის შინაარსობრივი ურთიერთდამოკიდებულებების დეფორმირება, შეუძლებელია. სეპირის სიტყვებით, „*ენა არ არის იარლიყი, რომელიც უკვე მზა აზრს შეიძლება ჩამოგვიდოთ*“. სეპირს ესმოდა, რომ განსხვავებული ენობრივი სისტემები არა მხოლოდ განსხვავებულად აფიქსირებენ კულტურული გამოცდილების შინაარსს, არამედ თავიანთ ენობრივ მატარებელ ადამიანებს სინამდვილის ჭვრეტისას, შემეცნებისა და აღქმისას მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ საშუალებებს, ენობრივი „ინსტრუმენტებს“ ანიჭებენ, რომლებიც არათანმხვედრნი, არათანაზომადნი არიან სხვა ენის საშუალებებისა და ინსტრუმენტებისა. სამყაროები, რომლებშიც ცხოვრობენ განსხვავებული საზოგადოებები, – ეს განსხვავებული სამყაროებია, და არა ერთი და იგივე სამყარო, რომელსაც, უბრალოდ, განსხვავებული იარლიყები ჰკიდია. სეპირი ამტკიცებდა, რომ: „*ჩვენ ვხედავთ, გვესმის და საზოგადოდ აღვიქვამთ მსოფლიოს, სახელდობრ, ესე, და არა სხვაგვარად, ძირითადად, იმის წყალობით, რომ ჩვენი არჩევანი მისი ინტერპრეტაციის დროს განისაზღვრება მოცემული საზოგადოების ენობრივი ფაქტურით, ენობრივი ჩვევებითა და მეთოდებით*“. სეპირის ეს მოსაზრებები თანამედროვე მეცნიერებმაც დაამოწმეს. მასაჩუსეტის უნივერსიტეტის მკვლევარებმა სეპირის მტკიცება კონკრეტულ (მაგ. ფერთა აღქმისა და კლასიფიცირების) შემთხვევაში ექსპერიმენტულად დაადასტურეს, იგივეს მიანიშნებენ კალიფორნიის უნივერსიტეტის მკვლევარის, პოლ კეის კვლევის შედეგები.

სეპირის მოსაზრებებმა შვეს ახალი კონცეპტუალური სქემა, რომლის მიხედვითაც ენის მეშვეობით ჩვენ არა მარტო განსხვავებულად აღვიქვამთ, არამედ განსხვავებულადვე ვახდენთ სინამდვილის პროეცირება-პროგრამირებას.

ცნობილი გერმანელი მეცნიერი, ლეო ვაისგერბერი თვლიდა, რომ ყოველი ენა უნიკალურია და ყოველ ენაში ჩადებულია ე.წ. მსოფლიოს მისეული სურათი – კულტურო-სპეციფიური მოდელი. ასე, რომ შეიძლება ითქვას, რომ ერის აზროვნების ხასიათი განისაზღვრება ენით. სწორედ ვაისგერბერმა შემოიტანა ცნება მსოფლიოს ენობრივი სურათის შესახებ, რომელიც ასე პოპულარულია თანამედროვე ლინგვისტიკაში.

იმას, ვისაც უნდა, რომ რომელიმე ერის თვითმყოფადობისა და ცნობიერების საფუძვლები მოშალოს, მან მას მშობლიური ენის საფუძვლები უნდა მოუშალოს. როდესაც ვარდების რევოლუციის შემდეგ დაიგემა განათლების რეფორმა, მისი ძირითადი მიმართულებები. პირველ რიგში დაიწყეს ანტიმართლმადიდებლური და ანტიეროვნული განათლების კანონის მიღებაზე ზრუნვა. მაგრამ კანონის მიღებას წინ უსწრებდა უცხოეთიდან დაფინანსებული კვლევები სწორედ ამ მიმართულებებით. მათ შესახებ ჩვენ ვწერდით ჩვენს ბროშურაში „*განათლების რეფორმა – ილიას სახელით ილიას გზის უარმყოფელი*“. ერთ-ერთი ღონისძიების, ჰენრიხ ბიოლის რეგიონალური ფონდის მხარდაჭერით 2004 წ. 23-25 იანვარს ჩატარებული კონფერენციის, – „*მართლმადიდებლობის როლი საქართველოს სახელმწიფოს საზოგადოებაში*“, – ანგარიშში წერია შემდეგი (ციტატა): ქართული „*საზოგადოება ორგანიზებულია რამდენადმე განსხვავებულად. . . ჩვენს საზოგადოებაში ეკლესიის შემეცნების ერთ-ერთ ძირითად თვალსაზრისს წარმოადგენს მისი შემეცნება წარსულის კონტექსტში, მისი*

აღქმა, როგორც დამაკავშირებელი რგოლისა, რომელზეც დამყარებულია, არც მეტი, არც ნაკლები, თვით ერის იდენტურობა. . . საეკლესიო დისკურსის ძირითად შემადგენელს წარმოადგენს რელიგიური ნაციონალიზმი. . . უნდა ითქვას, რომ მსგავსი მსოფლშეგრძნების ფესვები საშუალო სკოლებში მშობლიური ლიტერატურის სწავლებაში იმალება. . . არ არის საჭირო დიდხანს ვამტკიცოთ, რომ ეკლესიის ადგილი საზოგადოებაში მზადდება და შეინახება ენის საშუალებით“: (ციტატის დასასრული) (იხ. დასახელებული ბროშურა, გვ.7-8). განმარტებისათვის აღვნიშნავთ, რომ რელიგიური ნაციონალიზმის ქვეშ ფსევდო-ლიბერალ-რეფორმატორებს ესმით ანტიეკუმენისტური, ანუ ეკლესიის მართებული, მოციქულებრივი სწავლება, და არა ფილიტიზმით დამახინჯებული სწავლება, - ეს უკანასკნელი, ცხადია, მიუღებელია ეკლესიისთვის. ამიტომაც ვამბობთ, რომ ასპარეზზე გამოსული „მოღვაწეების“ სახელი არა ლიბერალებია, - ჭემმარიტი ლიბერალიზმს ხომ მართლმადიდებლობა ქადაგებს, - არამედ ფსევდოლიბერალები. მათ თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ლიბრელები, ვინაიდან თვალზე ლიბრი აქვთ გადაკრული და ბეცად უყურებენ ყოველივე იმას, რაც ასე ძვირფასია ქართველი კაცისთვის - მართლმადიდებლობა, ეროვნულობა, ზნეობა, ტრადიციები.

დააკვირდით ზემოთ მოყვანილ ციტატას. კერძო ასპექტში სავსებით მართებულია ლიბერალ-დამაქცეველთა თვალსაზრისი იმასთან დაკავშირებით, რომ მშობლიური ენა არის ის ინსტრუმენტი, რომელიც მოზარდში წარსულს აკავშირებს აწმყოსთან და შობს ქვეყნისთვის ისტორიულად მიზანსწრაფულ მომავალს; რომ ენით კავდება მოსწავლეში მართლმადიდებლური რწმენა, ეროვნული ცნობიერება, კულტურა და ტრადიციები. დიახ, სავსებით სწორად განსაზღვრეს სამიზნე და, აკი, შეუტიეს კიდეც: ჯერ მაქსიმალურად შეზღუდეს მშობლიური ლიტერატურის სწავლება სკოლებში, აგიოგრაფია და ქართული ეროვნული ისტორია სანაგვეზე მოსასროლად შერაცხეს (მინისტრ ლომაიას ცნობილი სიტყვებია), კლასიკოსები აითვალწუნეს. ახლა ამასაც არ ჯერდებიან და უნდათ, რომ მშობლიური ენა საფუძვლიანად გმოაძევონ სასწავლებლებიდან, მისი ადგილი კი ინგლისურს დააკავებინონ, - ანუ დედა მშობელი დედინაცვლით შეუცვალონ ჩვენს შვილებს და ასე აუშხედრონ ისინი მათ ღვიძლ მშობლებს, წინაპრებს, ქვეყანასა და ეკლესიას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეორე დასკვნის გაკეთებაც შეიძლება. ერის ცხოვრებაში ენის როლის გათვალისწინებისა და იმ ღონისძიებებიდან გამომდინარე, რომელსაც მარიონეტული ხელისუფლება ახორციელებს საქართველოში მშობლიური ენის წინააღმდეგ, და, საზოგადოდ, განათლების სფეროში, ასევე, სხვა ქვეყნებში მიმდინარე ანალოგიური პროცესებიდან გამომდინარე, სავსებით აშკარა ხდება, რომ კაცობრიობა უკვე ემზადება იმ ეპოქისათვის, რომელსაც ანტიქრისტეს მმართველობა ჰქვია და რომლის დროსაც იქნება ერთი ენა, ერთი სახელმწიფო და ერთი პოლიტიკური ლიდერი, - ანტიქრისტე, - რომელიც იმავდროულად რელიგიური ლიდერიც იქნება. იძულებითი წესით, მსგავსად იმისა, როგორც ეს საქართველოში ხდება, როდესაც ინგლისურის სწავლებას ბავშვებს I კლასიდან აიძულებენ, ახორციელებენ სუსტი ქვეყნების ცხოვრების, მ.შ. განათლების სისტემისა და რეფორმის მიმართვას შესაბამისი მიმართულებით. ჩვენ ამას ვუწოდებთ ანტიქრისტეს სტანდარტების დანერგვა. ეს პროცესი საკმაოდ შორსაა წასული. გაიხსენეთ ეკლესიის დიდი მამის, სერაფიმ როუზის ცნობილი სიტყვები იმასთან დაკავშირებით, რომ ახლა გაცილებით უფრო გვიანაა, ვიდრე ჩვენ გვგონიაო, - იგულისხმობა აპოკალიფსური პერიოდის მოახლოება. სახეზეა ამის ნიშნები, თუნდაც ის, რომ მრავალმხრივ ძალადობენ ჩვენზე, რათა გადაგვაგვარონ,

რწმენა და მშობლიური ენა წავგართვან, - ნახევარი სამშობლო ხომ უკვე წავგართვეს, ახლა უნდათ, რომ სული ამოგვხადონ. მაგრამ ავიწყდებათ, რომ „ისინი ეტლებითა და ჰუნებითა, ხოლო ჩვენ სახელითა უფლისა ჩვენისადათა ვხადოდი“.

მოდით, აქვე შევეხოთ ბილინგვიზმის საკითხსაც.

ბილინგვიზმი

ბილინგვიზმის თემაც ჩვენს ძირითად თემასთან მიმართებაში მეტად საინტერესო და აქტუალურია. ფაქტობრივად, ქართული საზოგადოება ბილინგვიზმისკენ მიყავთ. წინასწარვე დავებნთ, რომ ჩვენ ბილინგვისტური კი არ, არამედ ქართულად სწორად მეტყველი და უცხო ენების მცოდნე საზოგადოება გვინდა. ბილინგვიზმის დროს არის საფრთხე იმისა, რომ ადამიანი სრულყოფილად ვერ დაეუფლოს მშობლიურ ენას, მეტადრე – არამშობლიურს. მეცნიერული თვალსაზრისით დანახული ბილინგვიზმის საკითხი დაგვეხმარება სწორი ორიენტირების მოძებნაში უცხო ენების შესწავლის თემასთან დაკავშირებით.

მანამდე შევეხოთ მეცნიერული თვალსაზრისით საინტერესო ერთ კვლევის საგანს, კერძოდ, შემდეგ საკითხს: უფრო ჭკვიანები არიან თუ არა უცხო ენებზე მოლაპარაკენი? კანადელი მკვლევარი, ელენ ბილისტოკი ამბობს, რომ მეორე ენის ცოდნა ეხმარება ადამიანს უკეთ აითვისოს ზოგიერთი უნარ-ჩვევები. ჩვენ საკითხი უფრო სიღრმისეულად გვაინტერესებს, თორემ უცხო ენის შესწავლა ზოგიერთი უნარ-ჩვევის ათვისებას ხელს რომ შეუწყობს, ეს საკვებით ლოგიკური და გასაგებია. დასმული კითხვა საკმაოდ ბევრი მსჯელობისა და შესწავლის საგანი იყო – დაწყებული ჰუმბოლდტიდან, და დამთავრებული თანამედროვე მკვლევარებითა და კვლევებით. ჰუმბოლდტი, მაგალითისათვის, თვლიდა რომ ორიენოვნება ცუდია.

1950-ანი წლების დასწყისში მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ადამიანები, რომლებიც რამდენიმე (ორ ან მეტ) ენაზე საუბრობენ, ინტელექტუალური განვითარების დონის კვლევის ტესტებს უარესად გადიდონენ და მონოლინგვებთან შედარებით ამ ტესტებში უარეს შედეგებს აჩვენებდნენ. ამგვარად, უცხო ენის ცოდნა პიროვნების ინტელექტს, აპრიორულად და პირდაპირი მნიშვნელობით, არ ზრდის. იმავე ხასიათისაა ამერიკის მეცნიერების განვითარების ასოციაციის კვლევის შედეგები. სულ ბოლო კვლევებმა დაადასტურებენ, რომ მტკიცება, თითქოს მეორე ენის ცოდნა უცილობლად ადამიანს უფრო ჭკვიანს ხდის, არ არის მართებული. ჩვენ არ ვამბობთ, რომ უცხოენების შესწავლა არ არის კარგი, მაგრამ პოლოგოლოტობა პოლიჭკვიანობას რომ არ ნიშნავს, ამას მეცნიერული კვლევები ცალსახად ადასტურებენ.

ჩვენი მსჯელობის მიზანი არ არის იმის დამტკიცება, რომ ენების შესწავლა ცუდია და უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ინტელექტზე, მაგრამ იმის დამადასტურებელ მეცნიერულ მოსაზრებებს კი მოვიყვანთ, რომ მრავალ ენაზე მოლაპარაკეობა, აპრიორულად, ჭკვიანობას არ ნიშნავს და რომ უცხო ენის არასწორად, ერამეცნიერული პრინციპებითა და მიდგომებით, პედაგოგიკის მოთხოვნების არგათვალისწინებით შესწავლას მოაქვს არა პოზიტიური, არამედ ნეგატიური შედეგები მოზარდის ინტელექტუალური, ფსიქიური, სოციალური და კულტურული ჩამოყალიბების თვალსაზრისით. ამას ამტკიცებენ კვლევები. ბევრი მტკიცება რად უნდა, - სახეზეა პოლილინგვისტურ გარემოში მოქცეული საზოგადოება და მრავალ ენაზე ამეტყველებული მისი ინდივიდები, უღმერთობისა და გარყვნილების მორევში თავდაყირა გადაშვებული კაცობრიობის სულ უფრო მზარდი უგუნურობაც სახეზეა. ჰოდა, დასკვნა

თქვენთვის მომინდია. ის ბიბლიური ისტორიაც გავიხსენოთ, თუ როგორ გაჩნდა მრავალი ენა დედამიწაზე, ადამიანის გონივრული მოქმედების წყალობით თუ, პირიქით, უგუნურობის, ამპარტავნობისა და ღმერთმბრძოლობის გამო.

იდეალური ორენოვანი ინდივიდები, რომელთა არსებობა ლ. ბლუმფილდს შესაძლებელი ეგონა, სინამდვილეში არ არსებობენ. ფაქტობრივად, ბილინგვები მათ მიერ შეთვისებულ ყოველ ენას იყენებენ განსხვავებულ სოციალურ კონტექსტში და არ შეუძლიათ მათ მიერ შეთვისებული ყოველი ენა, ან თუნდაც ერთ-ერთი მათგანი ყველა შესაძლო კონტექსტში გამოიყენონ.

ბილინგვიზმის პრობლემა ტერმინების სიუხვიდან და ამ ტერმინების უზუსტობიდანაც ჩანს: პირველი/მეორე, ძირითადი/მეორეხარისხოვანი, თავისი/სხვისი, სახლის, ოჯახის, მშობლიური, მთავარი, დომინანტი, შთამომავლობითი/შემქნილი, გარემოს ენა, დედის ან მამის ენა. ამას გარდა, ასხვავებენ ძლიერ და უფრო სუსტ ენებს, ხოლო სასურველი არის დაბალანსებული ორენოვნება. პირველი გამოკვლევები ბილინგვიზმში ჩაატარეს რონჟამ და ლეოპოლდმა (Ronjat 1926, Leopold 1939-1949).

უ. ვაინრაიხმა (1979) წამოაყენა შემდგომში საკმაოდ ცნობილი იდეა იმის შესახებ, რომ ბილინგვიზმი შეიძლება იყოს შედგენილი (compound), როდესაც ორი ენის სისტემა ქმნიან რაღაც ერთს; კოორდინატიული (coordinate), როდესაც ორი ენის სისტემა შედარებით დამოუკიდებლად არსებობენ, სუბორდინაციული (subordinate), როდესაც მეორე ენის სისტემა შეიცნობა პირველის მეშვეობით. ეს კლასიფიკაცია ამჟამად აღარ არის აქტუალური, თუმცა რიგ შემთხვევაში კარგად ახასიათებს სიტუაციურ სურათს, იქნება ეს მეორე ენის შესწავლის, ლინგვისტური განსხვავებების არსებობისა თუ ნეიროფიზიოლოგიური რეალიზაციის ვარიანტის ასახვის საკითხები.

გამოკვლევებით დამტკიცებულია, რომ ნამდვილად ნორმალურად ორენოვნება ვითარდება იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანს ერთ ენაზე მაინც შეუძლია გამოხატოს თავისი აზრი რამდენადმე სრულყოფილი, ადექვატური ფორმით. თუკი მეტყველება სრულფასოვნად არც ერთ ენაზე არ არის ჩამოყალიბებული, მაშინ ირღვევა თავად სტრუქტურა აზრისა, აზროვნებისა, და მარცხით მთავრდება სხვადასხვა სიტუაციებში თვითგამოხატვის მცდელობები, რასაც მივეყვართ არა მხოლოდ ფსიქიურ სტრესებთან, არამედ ურთიერთობათა და ადამიანის პიროვნულობის ხარისხის დიდ დანაკარგებამდე. ეს მოვლენა, რომელსაც ეწოდება ნახევარენოვნება, ფრიალ დამლუპველია ასევე საზოგადოებისათვის, ვინაიდან მისი წევრების გარკვეულ ნაწილს არ შეუძლია არეგულიროს თავისი ემოციები, არ შეუძლია თავისი გრძნობები, მოთხოვნილებები, სურვილები სიტყვიერი ფორმით გამოხატოს. ხოლო როდესაც ადამიანს არ შეუძლია გამოთქვას ის, რაც უნდა, მაშინ მას, პირველ რიგში, არ შეუძლია იყოს კონკურენტუნარიანი საზოგადოებაში, მეორეც, მას არ შეუძლია გამოიყენოს კომუნიკაციის სტანდარტული ფორმები, მესამეც, იგი იძულებულია მიმართოს თვითრეალიზაციის რაღაც სხვა ფორმებს, ხანდახან – ძლადობას. ამ შემთხვევაში არასრულფასოვან ორენოვნებას ფსიქოლოგიურ ტრამვამდე მიყვევართ. ანუ სახეზეა არასრულფასოვნების კომპლექსის თავისებური ფორმა და მისი სავალალო შედეგები.

დიგლოსიას (ბერძნულიდან - ორენოვნება) უწოდებენ ისეთ სიტუაციას, როდესაც ფუნქციონალური განსხვავება გამოყენებულ ენებს შორის დიდია (მაგ., როდესაც სახეზეა გარემოს, მშობლიური ენა და სხვა რომელიმე ენა, მ.შ. ხელოვნურად დანერგვადი ან თავსმოხვეული ენა), ამასთან იზრდება ალბათობა იმისა, რომ გარემოცვის ძირითადი (მაგ. მშობლიური) ენა ბავშვებმა არ შეისწავლონ საკმარისი მოცულობითა და სიღრმით, - ეს იმიტომ, რომ მოზარდს შეიძლება მოეჩვენოს, თითქოს მშობლიური ენა

მეორეხარისხოვანია, ან სულაც არ არის საჭირო. ასევე, იზრდება იმის ალბათობა, რომ ბავშვმა აითვისოს სიტუაციური მეტყველება, ანუ გარკვეულ სიტუაციებში და გარკვეულ ურთიერთობებში იმეტყველოს ერთ ენაზე, სხვა სიტუაციებში მეორეზე, ამასთან ყველა სიტუაციაში რომელიმე ერთ ენაზე არ შეეძლოს სრულფასოვანი საუბარი.

ყოველივე ეს, რაზეც ვსაუბრობდით, განეკუთვნება იმ დაშვებით სიტუაციებს, როდესაც პიროვნება, რომელიც რამდენიმე ენის მატარებელია, არ ახდენს ამ ენების ერთმანეთში შერევას. მაგრამ რეალურად ასე არ ხდება: გაცილებით ხშირად მეტყველებისას ადამიანები გადადიან ერთი ენიდან მეორეზე, სესხულობენ ცალკეულ სიტყვებსა და გამონათქვამებს, საუბრობენ ერთ ენაზე მეორე ენის გავლენით, ერთმანეთში ურევენ სიტყვებს, მართლწერას, ფრაზის აგებულებას, გამოთქმის არტიკულაციასა და დიქციას. ამასთან, ასეთი აღრევები განსაკუთრებით ხშირია მოზარდებში, რომლებიც ერთდროულად ორ ენას, - ორი ენის ანბანს, გრამატიკასა და მართლწერას სწავლობენ. ამასთან, იმისდა მიხედვით, თუ შესასწავლი მასალა დროში როგორ არის გადანაწილებული და რომელ ენაში უფრო ადრე სწავლობს იგი ამა თუ იმ ლექსიკურ თუ გრამატიკულ მასალას, ხან ერთი ენიდან გადააქვს მეორეში ესა თუ ის ფორმა, ხან – მეორიდან პირველში. ყოველივე ეს აისახება და მაგრდება მეხსიერებაში, ხოლო რაც უფრო ადრეულია ასაკი, მით უფრო დიდია ქვეცნობიერში დალექვისა და დამაგრების ხარისხი და სიღრმე, და, შესაბამისად, საკმაოდ იზრდება ალბათობა იმისა, რომ მოზარდი არასრულფასოვნად მეტყველ პიროვნებად ჩამოყალიბდეს.

რაც უფრო ადრეულ ასაკში იწყება ორი ენის პარალელური ათვისება, მით უფრო იზრდება იმის საფრთხე, რომ ბავშვმა ვერ განასხვავოს, ვერ განაცალკეოს ენები ერთმანეთისგან, ამასთან, დიდია ალბათობა იმისა, რომ გამოიმუშაოს ორივე ენისთვის ერთი ბაზა, მოხდეს ენების ერთმანეთზე დაშრევა, ერთმანეთში აღრევა. პირიქით, როდესაც მოზარდს უკვე საკმარისად აქვს გამოიმუშავებული და ჩამოყალიბებული უნარ-ჩვევები მშობლიურ ენაში და აღქმა იმისა, რომ ეს ენა არის მისი მშობლიური, ძირითადი ენა, მაშინ იგი მეორე ენას ამ მშობლიური ენის საშუალებით ითვისებს, და ამ დროს ხდება ორივე ენის ურთიერთგამდინრება. ამის საპირისპიროდ, თუკი ადრეული ასაკის გამო ბავშვს ჯერ არ აქვს გამოიმუშავებული ძირითადი, მშობლიური ენის ცოდნა და ცნობიერება, მაშინ იზრდება საფრთხე იმისა, რომ პარალელურად შესასწავლმა ენებმა კი არ გაამდინრონ ერთმანეთი, არამედ, პირიქით, – გააღარიბონ. ბევრი მკვლევარი ეჭვის ქვეშ აყენებს იმასაც, რომ ბილინგვის ყოველ ენას ისევე შეეძლოს განვითარება, როგორც მონოლინგვისას. მეტიც, არიან მეცნიერები, რომლებიც თავიანთი კვლევების საფუძველზე ადასტურებენ, რომ, როგორც წესი, მონოლინგვის ენის ცოდნის სიღრმე გაცილებით დიდია, ვიდრე პოლილინგვისა მის მიერ შესწავლილ ცალკულ ენაში.

ორი ენის სუქცესიური (თანმიმდევრობითი) ათვისების შემთხვევაში მეორე ენა აუცილებლად შეითვისება პირველი ენის ფონზე, მის საფუძველზე და მის პრიზმაში. პირველი არის წამყვანი კოგნიტურ განვითარებაში, განსაზღვრავს სამყაროს ინტელექტუალურ სურათს. მშობლიური ენის მოვლენების მეორე ენაში გადატანის სტრატეგიები, ენობრივი გამოთქმების ურთიერთგამარტივება, ზეგენერალიზაცია შეიმჩნევა უკლებლივ ყველა ასეთ შემთხვევაში. ამასთან, მეორე ენაში ზოგიერთი კომუნიკაციური ჩვევის შექმნას შეუძლია სრულყოფილი ბავშვის ცოდნა პირველ ენაში: კითხვის ზოგიერთი ჩვევები, თავაზიანობის ფორმულები, ენობრივ ინტუიციაზე დაყრდნობის უნარი, გამონათქვამის შინაარსის შესახებ ვარუდების აგება – ყოველივე ამან შეიძლება დადებითი გავლენა მოახდინოს მშობლიური მეტყველების განვითარებაზე. არც თუ

იშვიათად უმჯობესდება მშობლიური ენის დიქცია, წარმოთქმა და არტიკულაცია. პირიქით, ადრეულ ასაკში, როდესაც მშობლიური ენა არ არის საკმარისად ჩამოყალიბებული და დამაგრებული ბავშვის ფსიქიკაში და ცნობიერებაში, და როდესაც ერთდროულად ხდება ორი ენის ადრეული, მ.შ. ანბანური შესწავლა, დაშრევა, მაშინ ზემოთ ხსენებული დადებითი ეფექტი იქცევა უარყოფით ეფექტად, რის შედეგადაც ადამიანი სრულფასოვნად ვერც ერთ ენას ვერ ითვისებს.

გამოკვლევებმა ასევე აჩვენეს, რომ თუკი ძლიერი ენაა ის, რომლითაც ადამიანი ოჯახში მეტყველებს, ხოლო საზოგადოებაში დომინირებს ენა, რომელიც არის ამ ადამიანისთვის სუსტი ენა, მაშინ ეს ადამიანი, მიუხედავად მისი გონებრივი მონაცემებისა და ნიჭებისა, ამ საზოგადოებაში მნიშვნელოვან პროფესიულ წარმატებას ვერ მიაღწევს. ასეთი სიტუაცია შეიძლება შეიქმნას, თუკი ერს თავს მოახვევენ უცხო ენას და მას სახელმწიფო ენად აქცევენ. ასეთი ვითარება შეიძლება შეიქმნას საქართველოში, რადგან არის ნიშნები იმისა, რომ სახელმწიფოს აქვს პროგრამა, ინგლისური ენა სახელმწიფო ენად აქციოს საქართველოში. ამ შემთხვევაში მშობლიური ენის, ქართულის მატარებელი მოზარდების ძირითადი მასა იქნება ჩავარდნილი ისეთ სიტუაციაში, როდესაც ისინი ვერ შეძლებენ თავიანთი შესაძლებლობებისა და უნარების რამდენადმე სრულ რეალიზებას საზოგადოებაში. ეს გამოიწვევს საზოგადოების დეგრადაციას, საზოგადოებას აქცევს მომსახურე პერსონალის რანგის ერად, არა ამოაზროვნედ, არამედ მომხმარებელ მასად, არა მეცნიერული აზროვნებითა და ინტელექტის გამოვლინებით მოღვაწე ხალხად, არამედ პლებეებად, სნობებად და მდარე სინჯის ხროვად.

საქართველო ერთხელ უკვე აღმოჩნდა მსგავსი საფრთხის წინაშე 30-ოდე წლის წინ: საბჭოთა კავშირის ზეობის პერიოდში იყო მცდელობა იმისა, რომ საქართველოში სახელმწიფო ენად რუსული ენა გამოცხადებულიყო. საბედნიეროდ, მაშინ, 1978 წლის 14 აპრილს, საზოგადოებამ დიდი აღშფოთება გამოხატა და პროტესტი განაცხადა ამასთან დაკავშირებით, გამოვიდა ქუჩაში თავისი უფლებებისა და თვითმყოფადობის დასაცავად და შედეგსაც მიაღწია. საბჭოთა ხელისუფლებამ, მოსკოვმა უკან დაიხია. მაშინდელ საბჭოთა, დამყაყებული იდეოლოგიის მქონე და უღმერთოების ეპოქის ხელისუფლებას უფრო დიდი თვითშეგნება აღმოაჩნდა, ვიდრე ჩვენს ზოგიერთ ხელისუფალს, მათ, რომელთაც დღეს საქართველოში ინგლისურის სახელმწიფო ენის რანგში აყვანა სურთ და ამისთვის ინგლისური ენის შესწავლის, ბილინგვიზმის არამეცნიერულ, არაპედაგოგიურ და არაადექვატურ მიდგომას გვთავაზობენ. კომუნისტი, უღმერთო, პირჯვრის ნაცვლად პირვარსკვლავ გამომსახველი ბრეჟნევი და შევარდნაზე უფრო ჰუმანურები აღმოჩნდნენ, ვიდრე ქართველად წოდებული, სხათა დასანახად პირჯვრის გამომსახველი ზოგიერთი თანამდებობის პირი, ისინი, რომლებიც ჩვენს შვილებს უმეცრებისა და გაუნათლებლობისკენ ერეკებიან.

ერთი მსოფლიო, ერთი ენა, ერთი ხალხი!

დავუბრუნდეთ ჩვენს ძირითად თემას. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ქართული ენა საფრთხეშია. ილია ჭავჭავაძემ, წმ. ილია მართალმა, ჩვენი ერის რაობის ქვაკუთხედად დადო ფორმულა: ენა, მამული, სარწმუნოება. ქართული ენა უნიკალური, კაცობრიული ღირებულებების მქონე ენათაგანია. მისი მოშლა გამოაცლის ჩვენი ერის სულიერ ტამარს ერთ-ერთ ბოძთაგანს და ერის სულიერ-შემეცნებითი შენობა არამდგრადი, წასაქცევად გამზადებული შეიქმნება.

მოდით, ამ საკითხ გლობალურად შევხედოთ. ჩვენ უკვე აშკარად ვხედავთ, რომ ჩვენი ქვეყნისა და ერის ბედი, მისი სულიერი და მატერიალური ცხოვრება საქართველოს გარეთ

იგეგმება. ეს ცვლილებები მიმდინარეობს გლობალიზაციის აპოკალიფსური პროცესის კონტექსტში და ფარგლებში. ჩვენ თვალი უნდა გავუსწოროთ სინამდვილეს, ინტეგრაციისა და გლობალიზაციის სახით მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და სულიერი და ცნობიერი რეგრესისკენ მიმავალი ცვლილებების მიზეზები სწორედ იქ ვეძებოთ! ეს ისეთ პროცესთა პროცესია, რომელიც მცირე ქვეყნების ფასეულობებს უგულბელებოფს და დევნის, მისთვის ზედმეტია ყოველივე ის, რასაც ჩვენი წინაპრები სისხლითა და ოფლით, ლოცვითა და შრომით, სასოებითა და მომავლის იმედით ქმნიდნენ, - ეს ყოველივე უფასურდება - თითქოს აღარაა საჭირო.

მაგრამ მსოფლიოს თუ არ ჭირდება, ჩვენ ხომ გვჭირდება, ჩვენ რაღა დაგვემართა, რა ღმერთი გაგვიწყრა, - რას ვაკეთებთ მის დასაცავად. ქართული დავივიწყოთ, უცხო ავითვისოთ, ამით ხომ იმას მოვიმოქმედებთ, რომ მოამაგე, დამაშვრალი, სიყვარულით თავგანწირული, მოხუცებული დედა შინიდან გავაგდოთ და შინ, ტახტრევანზე ავხორცი და ვნებაშლილი დედინაცვალი დავაბრძანოთ? სწორედაც რომ ღმერთი გაგვიწყრა ჩვენი ცოდვების გამო და ისე ვიქცევით, როგორც ლექსშია: **„დედას ვუყვარვართ შვილები, დედა არ გვახსოვს შვილებსა, მიტომაც წუთისოფელი, სულ მუდამ გვაცოდვილებსა“**. მაგრამ გონს უნდა მოვეგოთ, იმედი არ დავკარგოთ, სასოწარკვეთას არ მივცევთ.

ჩვენი უწმინდესი, საქართველოს პატრიარქი, ილია მეორე ასე ბრძანებს: **„ჩვენ არ უნდა დაგვაზნოს უცხო ქვეყნებისა და მათი ცივილიზაციების შემოჭრამ. . .“**. შემდეგ ხაზს უსვამს მშობლიური ენის დიდ მნიშვნელობას: **„დიდი ძალაა და დიდი საუნჯეა ქართული ენა: ენა არის ის საშუალება, რითაც ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, ესაუბრება უფალს, წარმოთქვამს ლოცვებს! ენა არის უდიდესი ძალა; ჩვენ მუდამ ვიცავდით ამ ჩვენს საუნჯეს და კვლავაც დავიცავთ!“**. დიახ, ენა საუნჯეა ყველასათვის და მათ შორის - ქართველი ერისთვისაც! ქართველთათვის იგი იმითაც არის ფასდაუდებელი, რომ ამ ენამ იტვირთა და დაიტია ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მიერ მოტანილი ჭეშმარიტი სწავლება, გაითავისა მისი ვნება, ჯვარცმა და აღდგომა, ქართულად აამეტყველა და მარგალიტებად დაგვიფინა წმიდა წერილი, დიდი სჯულის კანონი, წმინდანების განმარტებები და ნააზრევები. დიდება უფალს, - მოგვეცა ენა, გამომთქმელი სინანულისა და ღმრთის დიდებისა.

მაგრამ რა განგვისაზღვრეს, რას ფიქრობენ ამის საპირისპიროდ მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციები? მათ შორის, პირველ რიგში, რა იგეგმება გაეროს კონცეფციით საქართველოში, რამაც ჩვენს პრესაშიც გაიელვა სათაურით „გლობალური განათლება დემოკრატიისათვის“? კონცეფცია დასათაურებელია ასე: „ათასწლეულის განვითარების მიზნები საქართველოში“. აი, ამონარიდები აღნიშნული დოკუმენტიდან:

- ✓ განათლების ხარისხისა და ინსტიტუციური გაუმჯობესების გზით საქართველოს განათლების სისტემის ინტეგრაცია მსოფლიოს საგანმანათლებლო სივრცეში;
- ✓ სასკოლო განათლების თორმეტწლიან ციკლზე გადაყვანა, სასკოლო განათლების საერთაშორისო სისტემებში ჩართვა;
- ✓ 2015 წლისათვის პროფესიული განათლების სისტემის შრომის ბაზარზე ორიენტირებულ სისტემად გარდაქმნა.

ამ, ერთი შეხედვით, მომხიბლველ სიტყვებს მიღმა, სინამდვილეში გაუნათლებლობა და მდაბიობა იმალება. არ იფიქროთ, მსოფლიო განათლების სისტემაში ჩართვა მოიაზრება სწავლების ხარისხის ამაღლებად. ეს ასე არ არის. არსებობს მეორე დოკუმენტი - „იუნესკოს“ - ანგარიში განათლების სისტემის შესახებ, რომელიც ამბობს, რომ მათი რეფორმები, განხორციელებული განვითარებად ქვეყნებში, ეფექტურად ემსახურება მიზანს, რადგან ხელს უწყობს წერა - კითხვის ცოდნას ამ ქვეყნებში. ანუ, მსოფლიო რეფორმატორთა განზრახვით და მათი რჩევებით ხელისუფლება გვაბრუნებს იმ ეპოქაში, როდესაც დიდმა ილიამ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება შექმნა და დაიწყო წერა-კითხვის გავრცელება მთელს ერში. უკან გვაბრუნებენ იმ ეპოქაში, თითქოს ამის შემდეგ არ გაგვევლოს განათლებისა და დიდი

მეცნიერული მიღწევების, მსოფლიო მეცნიერული სკოლების შექმნისა და ავტორიტეტის მოპოვების, დიდი ლიტერატურისა და პოეზიის შექმნის გზა.

ჩვენი სასკოლო რეფორმის მიზანი კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოთ თქმულს, რადგან იგი ასეა ჩაწერილი: წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა. ისევ დავუბრუნდეთ გაეროს კონცეფციას, რომელიც თავის თავს ასე განმარტავს: გაეროს კონცეფცია – ეს არის 21-ე საუკუნის კონცეფცია სკოლის სწავლების მიზნით, და იქვე თვითონვე სვამს კითხვებს: რა არის 21-ე საუკუნის სკოლების ტრანსნაციონალური და ტრანსკულტურული მისია? როგორ ვახორციელებთ მას დაწყებით და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში? რას ვაკეთებთ მასწავლებელთა მოსამზადებლად? – გვესაუბრება გაეროს კონცეფციაში პროფესორი ჯონ პატრიკი, შემდეგ აგრძელებს თავის შეუვალ აზრებს და დასძენს: **„ვეფიქრობ, აქ განხილული საკითხები სავსებით შეესაბამება 21-ე საუკუნის სამოქალაქო განათლების მისიას როგორც აშშ-ის, ასევე მთელი მსოფლიოს სხვა დემოკრატიულ ქვეყნების სკოლებში.“** **„ყველა სასკოლო დეფინაცია უნდა განისაზღვროს მსოფლიო სტანდარტების მიხედვით, პროგრამებში დემოკრატიის გლობალური ინტეგრაციის საერთაშორისო ფორმებით; პროგრამა სკოლაში გლობალური ინტერნაციონალური უნდა იყოს!“** – ბრძანებს ეს უცხოელი. ნახეთ, სწავლება არა ეროვნული, არამედ გლობალურ-ინტერნაციონალური უნდა იყოს! აქვე იმასაც გავიმეორებთ, რომ ჩვენისთანა განვითარებადი (მათი შეფასებით) ქვეყნებისათვის ეს გლობალურად ინტერნაციონალური პროგრამა გულისხმობს წერა-კითხვისა და ელემენტარული ცოდნის მიცემას, ყოველივე იმისა, რაც ჭირდება მომსახურე პერსონალს, და არა შემოქმედს, შემეცნებაზე და მეცნიერულ აზროვნებაზე ორიენტირებულ პიროვნებას, ჭირდება პლებეურ საზოგადოებას, და არა იმას, რაც აუცილებელია ფუნდამენტური და ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებისთვის, მსოფლიო კონკურენტუნარიანი ცოდნის მიცემა-მიღებასა და მეთოდისთვის. არადა, იმ ავადსახსენებელ საბჭოთა პერიოდში, რომლის ნოსტალგია ნამდვილად არა გვაქვს, - ღმერთმა დაგვიფაროს! - დიდი უღმერთობისა და ურწმუნოების იდეოლოგიის მიუხედავად, ვიძენდით ცოდნას, ვიყავით მსოფლიო მეცნიერების, განსწავლულობის, ერუდიციისა და ინტელექტუალიზმის ნაწილი. უფრო ადრე კი ვიყავით მსოფლიო განათლების ქვეყანა, - გავიხსენოთ გელათისა და იყალთოს აკადემიების პერიოდი და მიღწევები. გასაკვირი კია, - ჩვენმა რეფორმატორებმა ხომ ყველაფერს ეროვნული უწოდეს: ეროვნული გამოცდები, ეროვნული სასწავლო გეგმა და ყველაფერი ეროვნულის სახელდებით აღნიშნეს, და, თურმე, გლობალური ინტერნაციონალური განათლების რეფორმას არ ატარებენ? აი, ამას ქვია თვალეებში ნაცრის შეყრა!

განათლების დეზორიენტირებული რეფორმა ასევე გულისხმობს მასწავლებელთა გადამზადებას: სწორედ მათ უნდა გაზარდონ მომავალი გლობალისტ-ინტერნაციონალები, უსამშობლო, უმამა-პაპო მომავალი თაობა, პავკა მოროზოვები და ნეო-კომკავშირლები. ამიტომაც გამოუცხადეს ომი ყოველივე მართლმადიდებელურსა და ეროვნულს, ამისთვის შექმნა ერთმა ღმრთისმბრძოლმა და უზნეო პიროვნებამ დირექტორთა გაერთიანება, ატერორებდა მასწავლებლებს, უტარებდა მათ ტრენინგებს, რათა მათ აღეკვეთათ ნებისმიერი მართლმადიდებლური გამოვლინება სკოლის სივრცესა და მოსწავლეთა ყოფა-ქცევაში. დიახაც, - ამბობს მათეული ხედვა, - თუ მომავალ მასწავლებელს არ ვასწავლეთ შედარებითი სწავლების, საერთაშორისო და გლობალური დემოკრატიის სიკეთე, როგორღა შეძლებს იგი მსოფლიო მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნების აღზრდას, - დაახლოებით ასე გვიმტკიცებს ამერიკელი პროფესორი ჩვენ განათლების რეფორმის მთავარ გზავნილს, მიმართულს უღმერთობისა და უზნეობისკენ. ასე რომ, ჩვენმა რეფორმატორებმა იციან, ვის ზრდიან მოსწავლის სახით. ყოველივე ამის შემდეგ ცხადია, რომ ჩვენ ცოტა უმისამართოთ ვიქნევთ მუშტებს, როცა ვებრძვით მხოლოდ ქართველ აღმასრულებლებს, ნაცვლად იმისა, რომ ვებრძოდეთ ორივეს ერთად: თეორიტიკოსებს – დასავლეთში და აღმასრულებლებს – - ქვეყანაში! ვეძებოთ გზები, რათა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს,“, როგორც ბრძანა დიდმა ილიამ. ე.ი არ უნდა დავმორჩილდეთ ე.წ. მსოფლიო რეფორმის ეგრეთწოდებულ „მამებს“,

რომელთა ინტერესები, მათივე კატეგორიული მოთხოვნით, ერთიანდება მათს იდეაში: „ერთი მსოფლიო, ერთი ენა, ერთი ხალხი!“, ნაცვლად „მამულის, ენის და სარწმუნოებისა“.

სრულიად აშკარაა, რომ, აი, უკვე მერამდენედ, ისტორია გამოცდას გვიწყობს: ცდის ჩვენს ღირსებას, ზნეობას, ურთიერთგატანის ნიჭს, - სწორედ ეს არის ჩვენი ისტორიული ტრადიცია და ამიტომაც არ უნდა შევეგუოთ ქვეყანაში არსებულ ეროვნულ-იდეოლოგიურ სიცარიელეს. იმას, რაც არის მტრობა მამულის, ვერ უნდა ჰგუობდეს მას მამულიშვილი! ეს იქნება ნამდვილი მამულიშვილობა! ახლა საჭიროა შვილებს სამშობლო დავუტოვოთ და არა საცხოვრებელი სახლი! გვიფიქრია კი იმაზე, რა გარემოში იზრდება ჩვენი ახალგაზრდობა, ჩვენი აღსაზრდელები? რამდენ ცდუნებას უნდა გაუძლონ ჩვენმა შვილებმა, ჩვენმა მოსწავლეებმა, საერთოდ, ჩვენმა გოგო – ბიჭებმა: ღამის კლუბებს, კაზინოებს, სტრიპტიზ-ბარებს, უზნეო ფილმებს, ტელეეკრანისა და ინტერნეტ-საიტების აშკარად ამორალურ „სწავლებებს“!

ვითარება რომ მეტად რთულია, ამას თვითოეული ჩვენთაგანი ხვდება. მაგრამ გვაიმედებს ის, რომ ქართული ენის მოსპობის მცდელობები საქართველოს ისტორიაში მრავალჯერ ყოფილა და მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ ამ ძნელბედობას გაუმკლავდა საქართველო, გაუმკლავდა, პირველ რიგში, ეკლესიის წინამძღობლობითა და ერის მამების თავდადებით. ამ ბრძოლებს დიდი პიროვნებები შეეწირენ, ილია მართლის მოწამებრივი გზაც ხომ ამაზე მეტყველებს, მისი მკერდის შემანგრეველი ტყვია ხომ ბოლშევიკების წინამორბედებმა და სულიერმა ძმებმა ჩამოასხეს, ახლა ნეობოლშევიკები იღწვიან ერის მკერდის შენგრევისათვის, მისი გულის, ქართული ენის ამოგლეჯისა და სულის წარწყმედისათვის. შეეწირენ მამულს მამულიშვილები, და მით ქვეყანა გადაარჩინეს; უბრძოლველად ბრძოლა არავის მოუგია, მითუმეტეს, ვერ მოიგებ ომს! ჩვენც ვიბრძოლოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ინგლისური ენა რომ სრულიად ჩაანაცვლებს ქართულს ენას, როგორც სახელმწიფო ენა, ამას მტკიცება აღარ სჭირდება! აბა, რას ჰქვია მსოფლიო ინტეგრაცია და გლობალიზაცია?! ამას რად უნდა მეტი ფაქტების მოყვანა?! ეს გადაწყვეტილება მიღებულია საერთაშორისო დოკუმენტებით და ჩვენ დაგვრჩენია ან მორჩილება, ან – წინააღმდეგობა! - მესამე გზა არ არსებობს!

მვირფასო თანამემამულენო!

გავერთიანდეთ, ხელი - ხელს მივცეთ, მხარი - მხარს, და დავიცვათ ქართული სახელმწიფოებრიობა და ეროვნული თვითშეგნება, უპირველესად - ბავშვის გონებრივი ჩამოყალიბებისას! უზრუნველვყოთ ჩვენი მომავალი თაობის ჰარმონიულად აღზრდისა და ჩამოყალიბების, მშობლიური ენის შესწავლის ხელსაყრელი პირობები, ქართული ენის სახელმწიფო ენის სტატუსის შეურყევლად დაცვის გარანტიები. ჩვენ გვაქვს უფლება ვიყოთ ქართველნი, ვმეტყველებდეთ ქართულად, ვაზროვნებდეთ ქართულად და ჩვენი სახელმწიფო ენა იყოს ქართული!

ავთანდილ უნგიაძე,
ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანფლიდატი,
მართლმადიდებელ მშბელთა კავშირი

აკაკი გომართელი: დედაენა საფრთხეშია

მშობლიური ენა, ესაა უდიდესი ძალა ხალხის, ერის კონსოლიდაციისა და ინტეგრაციისათვის, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ძველი და ახალი თაობის შეკავშირებისათვის. არც ერთ სასკოლო საგანს არ აქვს ისეთი განმსაზღვრელი როლი ბავშვის აღზრდაში, როგორც მშობლიურ ენას, ნებისმიერი მეცნიერების კარის გასაღები მას აქვს მიბარებული: სკოლის საგნების წარმატებით დაუფლება ემყარება იმას, თუ როგორ ფლობს მოსწავლე სასწავლო ენას.

დედაენა, ერის და თითოეული ადამიანის ყოფიერების გარემოა, მის გარეშე წარმოუდგენელია მათი არსებობა. როგორც არახელსაყრელ ბუნებრივ გარემოს შეუძლია დააზიანოს ადამიანის ჯანმრთელობა, ასევე არახელსაყრელი, არასწორი ენობრივი გარემო გამოიწვევს ცალკეული პიროვნების და მთელი ერის სულიერ დეგრადაციას, აყენებს ერს, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენის სრული მოსპობის, განადგურების რეალური საფრთხის ქვეშ. სკოლებში მშობლიური ენის ჯეროვანი სწავლება არის გზა ერის თვითგადარჩენისა, განვითარებისა, გზა, რომელიც უზრუნველყოფს მის მომავალ ცხოვრებას, ერის მომავალ ისტორიულ ყოფას. აი რას ამბობს ცნობილი რუსი მეცნიერი კონსტანტინე უშინსკი მშობლიური ენის შესახებ: “სხვადასხვა საგნების შესწავლა ამდიდრებს ბავშვის შემეცნების უნარს, აწვდის რა მას ახალ-ახალ იმფორმაციას. გრამატიკის (ენის) შესწავლა კი ავითარებს ადამიანის თვითშემეცნების უნარს!... მისი შესწავლა არის საწყისი ადამიანის საკუთარ თავზე, თავის სულიერ მდგომარეობაზე დაკვირვებისა.”

ადამიანი და ენა განუყოფელია. ენა არ არსებობს ადამიანის გარეშე, ისევე როგორც გონიერი ადამიანი არ არსებობს ენის გარეშე. ადამიანი ენის მეშვეობით აღიქვამს გარე სამყაროს, კულტურას, უნახავს მათ ხალხს და გადასცემს მამიდან შვილს, თაობიდან თაობას. და ბოლოს, მშობლიური ენა ეს არის საფუძველი, რომელიც აყალიბებს ადამიანს, განსაზღვრავს მის ქცევას, ცხოვრების წესს, მსოფლმხედველობას, მენტალიტეტს, ეროვნულ ხასიათს, იდეოლოგიას. დედაენა მკაცრი და სანდო მასწავლებელია, მასში ჩადებულია იდეები, წეს-ჩვეულებები. დედაენა არა მარტო ასახავს და გადმოგცემს, არამედ თვითონ აყალიბებს ეროვნულ ხასიათს.

მაშასადამე, თუკი დედაენა აყალიბებს ერის კულტურასა და ცხოვრებას, მაშინ მანვე უნდა ითამაშოს განმსაზღვრელი როლი ეროვნული სულისკვთების ჩამოყალიბებაში.

კიდევ ერთხელ დავესესხებით კონსტანტინე უშინსკის, რომელიც სვამს კითხვას: “რა არის აღზრდის მთავარი მიზანი?” – და იქვე პასუხობს: ”ადამიანის სულიერი განვითარება, რომლის მიღწევაც შეუძლებელია თუ არ დავეყრდნობით ხალხის კულტურულ-ისტორიულ ტრადიციებს, ეროვნული ხასიათის განსაკუთრებულ თვისებებს” – ყოველივე ამის ძირითადი მატარებელი კი არის დედაენა.

ადამიანების სულიერ თანამეგობრობაში, რომლის გვირგვინს ერი და ეროვნება წარმოადგენს, არის ერთი სპეციალი - ენა, რომლითაც ისინი ერთმანეთს საუკუნეების განმავლობაში უკავშირდებიან და უგებენ. დროთა განმავლობაში ეს ენა ქმნის ერთიან სულიერ ყალიბს - მონოლითს, რომელიც “არც ცხადი ძალით წაირთმის, არც ძალვით მოიპარების”. ისტორიას მრავლად ახსოვს ისეთი მაგალითები, როდესაც ერთი მონოლითი ისტორიულ წყვეტას განიცდიდა და მომავალ თაობებს აღარაფერი გაეგებოდათ წინა თაობებისაგან დანატოვარი ენისა. ამიტომ წარმოიშვა ძველი და ახალი

ენის ცნება. თანამედროვე ბერძენი ძველ ბერძნულს ისევე სწავლობს, როგორც ნებისმიერი არაბერძენი, თანამედროვე სომეხი ძველ სომხურს ისევე სწავლობს, როგორც დანარჩენი არასომეხი, თანამედროვე ინდოელი ძველ ინდურს ისევე სწავლობს, როგორც დანარჩენი არაინდოელი შეისწავლიდა და ა. შ. ანუ ამ ენებში დიდი ისტორიული წყვეტა მოხდა და ეს მათ ენებზეც აისახა.

ჩამოთვლილ უძველეს კულტურულ ენებს შორის სრულიად გამორჩეულია ქართული ენა, რომელიც ასეთ წყვეტას არ აჩენს და თანამედროვე ქართველი, რაც უნდა გასაკვირი იყოს, წინაპართა ენის შინაარსს იგებს. ჩვენ უსათუთესი ძაფებით ვართ დაკავშირებული ჩვენს სულიერ საწყისებთან და საამაყოც (და არა საამპარტავნო) გვაქვს. სიცოცხლევ დაგვიდევს სასწოროზე ამ ენის დასაცავად. ამას ისიც ემატება, რომ ქართული ანბანი ზედმიწევნით ასახავს ქართულ მეტყველებას, ანუ თითო ბგერას თითო ასო შეესაბამება. ჩვენი ენისა და ანბანის ეს გენიალური თავსებადობაც გვეამაყება თავისი უნიკალურობის გამო. აკი ამბობდა ნიკო მარი - თავისი თვისებით ქართული ენა მსოფლიო ენათა და მართლაც ასეა.

ამ ენამ ბუნება და პათოსი ქართული სულის დინებისა ყველაზე ძალუმად გამოხატა, იდინა, იდინა და დღემდე ფორმოზრავად მეტ-ნაკლებად სახეცვლილი, მაგრამ არსობრივად მონოლითური მოვიდა; მოვიდა თვითმყოფადი ბუნებით და ყველაზე მეტად განსაზღვრა ერის თვითმყოფადობა. თავისი ისტორიით მან ქართველი ერის ერთიანი ისტორიული ყოფიერების არსებითი როლი შეასრულა. ეროვნული ცნობიერება ხომ ცხოვრების, ისტორიული რეალობის წიაღშია ჩაფლული ენის წყალობით და ამითაა განუმეორებელი და სულისმიერ აღქმას დაქვემდებარებული, მკაცრ რაციონალურ ჩარჩოებს გაცილებული. სწორედ ენა თამაშობს გადამწყვეტ და იდუმალ როლს ერის წარმოქმნა-განვითარებაში. კონკრეტული ქართული ენა აყალიბებს კონკრეტულ ერს - ქართველობას და საქართველოს.

თანამედროვეობამ გაისიგრძეგანა ენის დამსახურება ერის წინაშე და განსაკუთრებული ადგილი მიუჩინა თავის არსებობაში. იმისათვის, რომ არ დაირღვეს მისი ერთიანობა (რამეთუ ასეთი რღვევა ერის რღვევის ტოლფასია).

რუსი პედაგოგი ვესელი ამბობს: “ერს რომ თავისი ენა არ ასწავლო, ეს იმას ნიშნავს, რომ არ გინდათ ერის აზრი, მისი სულიერი ძალ-ღონე, ნიჭი გაიხსნას და გაიმართოს. ეგ ის იქნება, რომ არ გინდათ ერი ბავშვობიდან გამოვიდეს. თუ ჩვენ არ დავაწყებინებთ ერს თავისი დედაენის სწავლებას და თუნდაც მის მაგიერ სხვა, ძალიან მახლობელი ენის სწავლებას მოვყვებით, მაშინ უარესს ვიზამთ: სრულებით შევშლით ერის გონებრივ განვითარებას, სრულებით შევშლით მის სულიერ ბუნებას.”

მთელი სამყარო ჩვენთვის, ადამიანებისათვის, ენაში და ენით არსებობს. მთელი ჩვენი ცოდნა ენით გამოითქმის. ადამიანის სულიერ-გონითი სამყაროც ენაშია დაუნჯებული. ერი უკვდავია, თუ ის საკუთარ ენაზე ლაპარაკობს. უკვდავია ის კულტურა, რომელიც ამა თუ იმ ენაზე იქმნება. უკვდავია ეროვნული ტრადიციები, ადათ-წესები, ჩვეულებები, ყველაფერი ის, რაც ერის სულიერ საგანძურს შეადგენს.

ენა ინახავს და მომდევნო თაობებს გადასცემს მთელ იმ სიმდიდრესა და გამოცდილებას, რაც ერს საუკუნეების განმავლობაში შეუქმნია რელიგიური, მეცნიერული თუ მხატვრული ტექსტების სახით. ამ აზრით, ენა ხალხის კოლექტიური მეხსიერებაა.

ენის სიწმინდეს საშიშროებას უქმნის პირველი კლასიდან უცხო ენის შესწავლის დაწყების შემოჭანა. მოზარდი, რომელიც უცხო ენაზე დაიწყებს სწავლას, მშობლიურ ენას მხოლოდ ყოველდღიური მეტყველების დონეზე დაეუფლება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბარბარიზმები და ვულგარიზმები, ჟარგონები და კალკები მისი მეტყველების ბუნებრივი შემადგენელი ნაწილი იქნება.

სამწუხაროდ, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც დაუფარავად და დაბეჯითებით ამკვიდრებენ აზრს: რაკი დღეს თითქმის მთელი მსოფლიო ინგლისურად ლაპარაკობს, რა

საჭიროა ქართული ენის სწავლება და მის სიწმინდეზე ზრუნვა, დროა საქართველოს სახელმწიფო ენად ინგლისური გამოვაცხადოთო?!

ილია წერს: “ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკანდაუხეველად ვთხოულობთ დედა-ენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში, - ეგ, მარტო დედა-ენის სიყვარულით არ მოგვდის. ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგვრისაა, გონების დახშვისაა, დათრგუნვისაა, გათახსირებისაა, - და განა ეს სასურველია ვისთვისმე?”

ჩვენ დეკლარირებულად „დემოკრატიულ და თავისუფალ ქვეყანაში“ ვცხოვრობთ. თავისუფლება, დემოკრატიის თვალსაზრისით, არჩევანის თავისუფლებასაც გულისხმობს და სწორედ ამ თავისუფლებაზე აპელირებით ცდილობს მავანი, ქართველის, მართლმადიდებლისა და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების თვალსაზრისითაც, არატრადიციული ღირებულებების დანერგვას. ამავე დროს, ფაქტობრივად, ძალადობრივად ითრგუნება ჩვენი ერის უმთავრესი უფლება – ისაუბროს, წეროს და იაზროვნოს მის მშობლიურ ენაზე. პირველი კლასიდან იძულებით ინგლისურის სწავლა, თანაც, ხუთის წლის ასაკიდან, მომავალში მოზარდის ფსიქიკას ხომ არ დაამახინჯებს?

ჩვენ „დედაენაზე“ ვსაუბრობთ და მშობლიური ენის დიდ ქომაგ იაკობ გოგებაშვილს დავესესხებით: „არც ერთს უცხო ენას არ შეუძლიან ავარჯიშოს ალლო ენისა, როგორც დედინაცვალს არ შეუძლია ბავშვს დასდოს ღვიძლის დედის ამაგი, საშინელ მდგომარეობაში ვარდება ერი, როდესაც მის ენას პატივი და უფლება აქვს აყრილი და მას რიგიანად ვეღარ სწავლობს სკოლებში. ამ შემთხვევაში, სკოლა ცუდად მოქმედებს თვით სახლობაზედ, აქაც სუსტდება ღვიძლი ენა. ამის გამო, სრული მეტყველება ერში იკარგება და იგი წარმოადგენს ნახევრად დამუნჯებულ ბრბოს. სუსტი ენა ჰბადებს სუსტს აზრს, სუსტს ხასიათსა და ერის ცხოვრებაში დგება ის საუბედურო ხანა, რომელსაც ცნობილმა რუსმა სწავლულმა და ფილოლოგმა – ანდრეი პოტეხნიამ დაარქვა „საზიზღარი გაპარტახების ხანა“ („период мерзости запустения“). ამ უბედურ ხანას, საზიზღარი გაპარტახების ხანას თავის სასარგებლოდ იყენებენ მოცილე ერნი და ნახევრად დამუნჯებულს, დაქვეითებულს ხალხს ხელიდან აცლიან მიწა-წყალს, დოვლათს და ყველა ეროვნულ საუნჯეს...”

რუსეთთან შეერთების შემდეგ სარწმუნოება უზრუნველყოფილ იქნა; მაგრამ ბევრი ქართველი ვერა გრძნობს, ვერ ამჩნევს ხიფათს და განსცდელს, რომელიც მოელის მის დედაენას, და არა ზრუნავს შესაბამს ღონისძიებაზე. პირიქით, დარწმუნებულია, რომ როგორც სარწმუნოებას, ისე ენას არაფერი დაუშავდება: "ქართული ენა სად წაუვათ, შემდეგშიც მოასწრებენ მის შესწავლასაო". მაგრამ ასე ფიქრობენ მხოლოდ უბირი გონების პატრონნი. სხვებს-კი კარგად აქვთ შეგნებული სიბრძნე ქართულის ანდაზისა: მიმპარავი ძალდი უარესია მყეფარზედაო. ამ უკანასკნელებს კარგად ესმით მშობლიური ენის მნიშვნელობა, ესმით, რომ იგი არის მთავარი ბურჯი ერის არსებობისა და წარმატებისა, ესმით, რომ დედა-ენის შეუსწავლელობა მათს შვილებს დააქვეითებს ზნეობითაც, გონებითაც, ხასიათითაც და მისწრაფებითაც.

დროა, გონს მოვიყავნო ჩვენი თავი შემდეგი სიტყვების მოგონებით, რომელიც დაბეჭდა თავის წლიურს ანგარიშში ყოფილმა მზრუნველმა, კავკასიის ოლქისამ, პედაგოგმა და მწერალმა იანუარი ნევეროვმა, როდესაც ჰმარტავდა საჭიროებას ქართულის ენის საფუძვლიანად შესწავლისას: არ არსებობს განათლება მშობლიური ენის გარეშე, რადგან სწორედ დედა-ენა არის სრულყოფილი აზროვნების საძირკველი (Нет оброщения без возможно полного знания своего родного языка как орудия мысли)..

იაკობისეულ შემფოთებას ჩვენს დროში საქართველოს ხელისუფლების ახალი ლინგვისტური პოლიტიკა (რომელსაც თავად „ლინგვისტურ რევოლუციას“ უწოდებენ.) იწვევს ამ შემფოთებაზე ფსიქოლოგებს პასუხი უკვე აქვთ: პირველი კლასიდან – უცხო

ენის სწავლება, მე-7 კლასიდან – მეორე, 18 წლიდან – რამდენიც გნებავთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანს მსოფლმხედველობა არ უყალიბდება და აზროვნება ხელოვნური ხდება.

ოპონენტი იტყვის – „რაც მეტი ენა იცი, იმდენი კაცი ხარო“, ასეც თქმულა და მართალიც არის, თუმცა ჯერ ერთი კაცი იყავი და მერე – მრავალი. აკაკი წერეთლის ხუმრობაც შეიძლება გავიხსენოთ, როცა მას უთხრეს – თვენს ნათლულს ინგლისურად დაუწყია ლაპარაკიო. – დავიდუპეთ, აქამდე მარტო ჩვენ ვიცოდით, რა სულელიც იყო და ახლა ამას მთელი მსოფლიო გაიგებსო, – უხუმრია აკაკის.

ჩვენი მშობლიური ენა ქართული ენაა. სწორედ ამ ენაზე ვიწყებთ საუბარს, მაგრამ რადგან ჩვენ ამ ენაზე საუბარი შეგვიძლია, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ეს ენა ვიცით.

სწორედ დაწყებით კლასებში ვიწყებთ ამ ენის დაუფლებას, სწორედ აქ ეყრება საფუძველი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებას, მეტყველებას, ბგერების სწორად წარმოთქმას.

დედაენა ბავშვს ოდითგანვე ჭეშმარიტ მამულიშვილად ჩამოყალიბებაში უწყობდა ხელს: დედა-ენა აყვარებდა სამშობლოს, კეთილსინდისიერებას, ადამიანის პატივისცემას, შრომას. გამოუშუშავებდა ბოროტისა და კეთილის გარჩევის უნარს, მტკიცე ნებისყოფას. არც ერთ საგანს არ შეუძლია ისე განავითაროს ადამიანი, როგორც ეს შეუძლია მშობლიური ენის შესწავლას.

რუსი პედაგოგი კონსტანტინე უშინსკი გემოდღვრავს: “ბავშვი რომ სწავლობს დედა-ენას, იგი სწოვს სულისათვის სიცოცხლეს და ღონეს, ღვიძლი ენის ღვიძლი ძუძუდან, დედა-ენა ისე უხსნის ბუნებას ყმაწვილს, როგორც ვერც ერთი ბუნების მცოდნე კაცი; ისე აცოდინებს ხასიათს იმ ხალხისა და საზოგადოებისა, რომელთა შორისაც ბავშვი ცხოვრობს, მათ ისტორიას, თვისებას და მიდრეკილებას, როგორც ვერცერთი ისტორიკოსი.”

დედაენის სწავლება პირველ კლასში იყოფა წინასაანბანო და საანბანო პერიოდებად. წინასაანბანო პერიოდი ერთ თვეს გრძელდება, საანბანო კი მთელი სასწავლო წლის მანძილზე. ეს ერთი თვე არ არის საკმარისი იმისთვის, რომ 5-6 წლის ბავშვი სასკოლო რეჟიმს შეეგუოს და მოამზადოს ნიადაგი წერა-კითხვის დასაწყებად. ასევე უძნელდებათ პატარებს წერა-კითხვის სათანადოდ შესწავლა. და ახლა ამ ფონზე წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩაცვივდებიან ჩვენი პატარები, როცა მშობლიური ენის პარალელურად, მეორე მისგან სრულიად განსხვავებული, ინგლისური ენის შესწავლა უნდა დაიწყონ.

სწავლის პირველი წელი ყველაზე მნიშვნელოვანია. ბავშვის ფსიქოლოგია და გონება ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. პირველკლასელ ბავშვს მრავალი დაბრკოლების გადალახვა უწევს: სხვადასხვა სავარჯიშოების ჩატარებით ასწავლიან მშობლიურ ენაზე სწორად მეტყველებას, წერა-კითხვას, ნებისყოფის გამომუშავებას, ყურადღების კონცენტრირებას და ა.შ. და ამ დროს იბულებულია დედა-ენისაგან რადიკალურად განსხვავებული ენის – ინგლისურის შესწავლის პროცესში ჩაერთოს, აქ მათი ასაკი და ფსიქოლოგია ნუ დაგვავიწყდება, ისინი ხომ ჯერ 5 ან 6 წლისანი არიან.

გერმანელი პედაგოგიკის დედაბობი და განთქმული მეცნიერი ადოლფ დისტერვეგი ამბობს: “ის მეტ-ნაკლები გონება-გახსნილობა, რომლითაც ბავშვი შედის სკოლაში, აუცილებლად უნდა იყოს საზღვარი, საიდანაც უნდა მოჰყვეს ადამიანი სწავლებას. ამის გამო მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმ ენას, რომელსაც ბავშვები იყენებენ სკოლაში შესვლისას. ახალი უნდა აიხსნას ძველის

დახმარებით, უცნობი – ნაცნობით. სხვა გზა არ არის, სხვა ღონე და საშუალება შეუძლებელი საქმეა”.

საანბანო პერიოდი ითვალისწინებს წერა-კითხვის სწავლებას; ხმამაღალ გაბმულ, სწორ და შეგნებულ კითხვასა და მართლწერას.

წერა-კითხვის სწავლება ტარდება ბგერითი ანალიზურ-სინთეზური მეთოდის კითხვა-წერის ხერხით. ეს იმას გულისხმობს, რომ ჯერ სიტყვების ბგერითი ანალიზი ხდება, კითხვის სწავლება წინ უსწრებს წერის სწავლებას. წერა-კითხვის სწავლების პროცესში სისტემატური ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგით გამდიდრებას, (რაც, ღვთის წყალობით, უზვად აქვს მომადლებული ქართულ ენას) მოსწავლეთა ძალებით უცნობი სიტყვების ახსნას, კითხვაზე სწორი პასუხის გაცემას, ელემენტარული გაბმული მეტყველების ჩვევის გამომუშავებას, სურათზე ზეპირი თხზულების შედგენას, კითხვაზე “რატომ”, “რისთვის”, მოფიქრებული პასუხის გაცემას და სხვა. ყოველივე ამის პარალელურად შეუძლებელია იგივე შეასრულო მეორე, სრულიად განსხვავებული ლექსიკის მქონე ენაში.

შემდეგ იწყება საკითხავი მხატვრული ნაწარმოებების კითხვა. მხატვრულ ტექსტზე მუშაობა ანეიტრალებს შემეცნების იმ სიძნელეებს, რომლებიც წერა-კითხვის პროცესს თან ახლავს. მაგრამ, როცა მის პარალელურად ისწავლება უცხოურ ენაზე დაწერილი ტექსტის კითხვა. ეს აუცილებლად შეაფერხებს ტექსტის სრულყოფილად წვდომის უნარს, იმიტომ, რომ, ბავშვმა ორ ენაზე უნდა შეძლოს აზროვნება და მერე ნააზრვეის ერთმანეთთან დაკავშირება, რაც ამ ასაკის ბავშვისათვის სიძნელედ უნდა ჩაითვალოს.

დედაენის სახელმძღვანელოში არის სასაუბრო სურათები. სურათების თვალსაჩინოობამ არა მხოლოდ ფსიქოლოგიურად უნდა მოამზადოს, განაწყოს 5-6 წლიანების სწავლებისათვის, არამედ შექმნას რეალური სიტუაცია ცოდნის ისეთი წინამძღვრების მოსაპოვებლად, რომლებიც თავიდანვე უზრუნველყოფენ ბავშვის მეტყველებას, აზროვნებას, ფანტაზიას, ყურადღებას, სხვა ფსიქიკური ფუნქციების განვითარებას და კითხვის დასაწყებად საიმედო ნიადაგის მომზადებას. ამიტომ, წინასაანბანო პერიოდში სურათებზე მუშაობას დიდი სასწავლო, აღმზრდელობითი, შემეცნებითი და ესთეტიკური ღირებულება აქვს. იგივე ხომ უნდა შეასრულოს უცხო ენაში სურათზე სასაუბროდ. დაისმის კითხვა - ბავშვისაგან ხომ არ ვითხოვთ შეუძლებელს? თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ეს ორივე საგანში სრულყოფილად უნდა მოხდეს, მაშინ საქმეს კი არ ვაკეთებთ, არამედ ვაფუჭებთ, რადგან აუცილებლად მოხდება რომელიმე ენის არასრულყოფილად შესწავლა.

შვეიცარიელი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, იოჰან პესტალოცი ამბობს: „ბავშვის სულიერი ძალები შორეულზე, უცხოზე არ უნდა ავარჯიშო, ვიდრე ძირი არ გამაგრებია, და არ განათლებულა იმაზე ვარჯიშით, რაც მახლობელია ბავშვისთვის, რაც გარს არტყია, რაც ბავშვის ღვიძლი და თავისიანია”.

ასევე გასათვალისწინებელია ის მომენტიც, რომ სურათების აღწერა არა მხოლოდ ლექსიკური მარაგის გამდიდრებას უწყობს ხელს, არამედ ემსახურება ფრაზის აგებასაც. ამდენად ისინი ხელს უწყობენ არა მხოლოდ კითხვის სწავლების პროცესის გაუმჯობესებას, არამედ, ამასთან ერთად ლექსიკური მარაგის გაუმჯობესებას და ფრაზის აგების ჩვევის გამომუშავებასაც. საინტერესოა, ეს როგორ უნდა შეძლოს 5-6 წლის ბავშვმა, როცა მას საჭირო ლექსიკური მარაგი ჯერ კიდევ არ გააჩნია მშობლიურ ენაში და როგორ ააგოს ფრაზები ორ ენაზე?!

დედაენის გაკვეთლები კომბინირებული ხასიათისაა: ახლის ახსნა ყურადღების ცენტრშია, მაგრამ ცოდნის განმტკიცება, განვლილის განმეორება და ცოდნის აღრიცხვა სისტემატიურად ტარდება. ხშირად ერთდროულად ხდება სურათის აღწერა და ტექსტის კითხვაც, ფონემატური სმენის განვითარებაც, კითხვაზე პასუხის გაცემაც და გაბმული მეტყველების განვითარებაზე ვარჯიშიც, დიდი ადგილი ეთმობა მეცადინეობაზე თვალსაჩინოების, და აქტიურობის პრინციპების დანერგვას, წერის ჰიგიენის წესების დაცვას. ამრიგად, დაწყებით კლასში ერთ გაკვეთილზე ერთდროულად რამდენიმე ამოცანა კომპლექსურად წყდება, რაც საჭიროებს პატარების ფსიქიკის თავისებურების ცოდნას, პატარების გონების დადაბვას. ამ დროს მეორე ენაც ასევე მოითხოვს დიდ ძალისხმევას; ხომ არ იმოქმედებს ეს უარყოფითად ბავშვის ფსიქიკაზე, ძალიან ბევრს ხომ არ მოვიტხოვთ მისგან?

ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბავშვები ინდივიდუალურად აზროვნებენ, ავლენენ მეტყველების ნაკლოვანებებს. ეს პრობლემა კი თავს იჩენს არა მარტო ქართულის, არამედ ინგლისურის შესწავლის პროცესშიც, ამისთვის კი საჭიროა სპეციალური სავარჯიშოები. რაც უეჭველად შექმნის სირთულეს მეტყველების ნაკლოვანების აღმოფხვრაში. აღნიშნვის ღირსია ისიც, რომ საბავშვო კომპიუტერებში ჩატვირთული მასალა არის ამერიკული ინგლისურით, სახელმძღვანელოები კი შედგენილია ბრიტანული ინგლისურით.

ე.წ. “ლინგვისტური რევოლუცია” დედაენის გაუგონარი შევიწროების ხარჯზე მიმდინარეობს. თუ ქართული ენის გაკვეთილზე მთელი ჯგუფი ერთდროულად ზის საკლასო ოთახში ერთი პედაგოგის ხელმძღვანელობით, ინგლისურის გაკვეთილზე აღნიშნული ჯგუფი ორად იყოფა და ორი პედაგოგი ემსახურება.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ყოველწლიურად, სისტემურად ხდება ქართული ენის გაკვეთილების საათების შემცირება მეორეხარისხოვანი საგნების და მათ შორის ინგლისური ენის ხარჯზე. ყოველად მიუღებელია ასევე ძველი, გამოცდილი, ეროვნული სულისკვეთების მატარებელი პედაგოგების ინგლისური ენის და კომპიუტერული პროგრამების არცოდნის გამო მათი სკოლიდან დათხოვნა და ხშირ შემთხვევაში უპრინციპო, გამოუცდელი, ნაკლებად ეროვნული სულისკვეთების და ე.წ. „უნარ-ჩვევებში“ ხელგაწაფული მასწავლებლებით ჩანაცვლება. აქედან კარგად ჩანს, თუ როგორ ზრუნავს ახალი განათლების რეფორმა დედა-ენაზე.

მტკერმა კარგად იცის, რომ ჩვენი სარწმუნოება ხერხემალია ჩვენი ეროვნული სხეულისა, ჩვენი ეროვნული ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, დედაენა შესისხლხორცებულია მართლმადიდებლობასთან, მათი შეცვლით ან დაკარგვით ჩვენ ვკარგავთ ქართულ სულს.

ჯერ კიდევ 1992 წელს პატრიარქი სააღდგომო ეპისტოლეში ბრძანებს:

“სკოლის ცხოვრებაში სიახლის შეტანა რომ აუცილებელია, ყველა გრძნობს, მაგრამ ზოგჯერ არასწორ ნაბიჯებს დგამენ. მაგალითად, აპირებენ ინგლისური სკოლების გახსნას, სადაც პირველი კლასიდანვე ყველა საგანს ბავშვებს უცხოელები შეასწავლიან და ეს მიაჩნიათ ფრიად სასარგებლოდ; სინამდვილეში კი იგი დიდი შეცდომაა და ნიშნავს ჩვენს წარსულს მოწყვეტილი თაობის აღზრდას. ანდა, ფიქრობენ რელიგიური სკოლების დაარსებას, სადაც საღვთისმეტყველო გაკვეთილებს პასტორები ჩაატარებენ. განა შეიძლება ასე ხელყვით ჩვენი მეობა?”

აი, რა წერია იუნესკოს რეკომენდაციაში ქართული ენის შესახებ: „დედაენა“ წარმოადგენს გლობალიზაციისა და სოციალური ტრანსფორმაციის პროცესში კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნების ერთ-ერთ საყრდენს: მოიცავს იმ ტრადიციებისა და გამოხატვის ფორმებს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში თაობებს

გადაეცემოდა; ხელს უწყობს საქართველოს მოქალაქეთა სოციალურ ერთობას, ავითარებს მოზარდთა ინდივიდუალიზმისა და პასუხისმგებლობის გრძნობას." როგორც ვხედავთ რეფორმატორები აქაც კი ეწინააღმდეგებიან საკუთარ თავს.

მდგომარეობა მეტისმეტად საგანგაშოა! მივმართავთ ყველას, პირველ რიგში, ხელისუფლებას, მშობლებს, ქართველ სტუდენტობას, ახალგაზრდობას, შემოქმედებით ინტელიგენციას, საზოგადოების ყველა ფენას, ყველას, ვისაც უყვარს თავისი ქვეყანა, თავისი კულტურა, თავისი სულიერება, ვიზრუნოთ მშობლიური ენის სიწმინდეზე. "ერის ცხოვრება, მისი დიდება, მის ისტორია დაცულ არს ენით", ან: "რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს",- გვმოდღვრავდა გრიგოლ ორბელიანი. არსებითად იმავეს ბრძანებდა ილია ჭავჭავაძე: "მტრობა ენის, არს მტრობა ქვეყნის".

მვირფასო თანამემამულენო! ქართველებო! ვიზრუნოთ მშობლიური ენის გადარჩენისათვის! შეგახსენებთ იუნესკოს საგანგაშო განცხადებას იმის შესახებ, რომ გლობალიზაციის პროცესებიდან გამომდინარე, მსოფლიოში არსებული 7 ათასამდე ენიდან ნახევარზე მეტს სიკვდილი ემუქრება. საშუალო გაანგარიშებით ყოველ ორ კვირაში ერთი სალაპარაკო ენა კვდება. თუ ყოველმა ჩვენგანმა ქართული ენის სიწმინდის დაცვა სისხლხორცეულ საქმედ არ მიიჩნია, დღეს იქნება თუ ხვალ მკვდარ ენებს შორის შეიძლება ქართული ენაც აღმოჩნდეს. ნუ ვიზამთ ამას! ნუ წავაღოთ ჩვენი ენისა და ერის თვითლიკვიდაციის გზით!

წმ. გიორგის სახელობის საძმოს (ჭიათურა) თავმჯდომარე:
აკაკი გომართელი